ეროვნული ბიბლიოთეკა

100 – თავისუფლებას აღარ დავთმობთ!

გაზეთი **საქართველოს რესპუბლიკა** –100

№ 114

ფასი 1 მან.

წლიწადი მეორე — მთავრობის მოამბე

წლიწადი მეორე — ყოველდღიური გაზეთი

# საქართველოს რესპუბლიკა

ორშაბათი, 26 მაისი 1919 წ.

## საქართველოს დამოუკიდებლობის წლის თავი.





საქართველოს დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმი.











საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# 1918 წ.
# 26 მაისი 26
# საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება

## საქართველოს ეროვნულ საბჭოს

### პირველი სხდომა.

**კვირა, მაისის 26. 1918 წ. ტფილისი. სასახლე.**

კრებას დაესწრო 42 წევრი და 36 კანდიდატი.

ლოჟებში და ქანდარებზედ აუარებელი საზოგადოებაა: სხვა და სხვა ერთა წარმომადგენელნი. სხვათა შორის იმყოფება გერმანიის ჯარის უფროსი აფიცერი **გრაფი შულენბურგი**, გერმანელ ოფიცერთა თანხლებით.

ლოჟაშია აგრეთვე ტფილისის მიტროპოლიტი ლეონიდე სამღვდელო ამალითურთ და ქართველი მხედრობა.

სასახლის წინა მოედანი და ახლო-მახლო ქუჩები ხალხით არის გაჭედილი.

სასახლის ბანზე ამართულია საქართველოს ეროვნული დროშა.

**თავმჯდომარეობს** ეროვნულ საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტის თავმჯდომარე **ნოე ჟორდანია.**

პრეზიდიუმში არიან: **გიორგი ლასხიშვილი, გრიგოლ ვეშაპელი, პავლე საყვარელიძე.**

მდივნად არის ეროვნულ საბჭოს მდივანი **ილია ზურაბიშვილი.**

კრება ნაშუადღევის 4 საათსა და 50 წუთზე იწყება.

### კრების გახსნა.

**თავმჯდომარე**. საქართველოს ეროვნულ საბჭოს სხდომას გახსნილად ვაცხადებ.

### ნოე ჟორდანიას სიტყვა.

მოქალაქენო! დღეს თქვენ აქ მოწმე იყავით ერთი ისტორიულის და ამავე დროს ტრაღიკულ აქტისა. ამ დარბაზში მოკვდა ერთი სახელმწიფო და აი ახლა, ამავე დარბაზში, ეყრება საფუძველი მეორე სახელმწიფოს.

ამ ორ სახელმწიფოთა შორის, რომელთაგანაც ერთი მოკვდა და მეორე იბადება, შეუძლებელია ყოფილიყო ინტერესთა წინააღმდეგობა.

და თუ ოდესმე პირველი აღსდგება მკვდრეთით, დარწმუნებული უნდა ვიყოთ, მათ შორის მუდამ იქნება ინტერესთა თანხმობა (ტაში).

საქართველოს ახალი სახელმწიფო, რომელიც დღეს არსდება, არ იქნება მიმართული არც ერთის ხალხისა, არც ერთის სახელმწიფოს წინააღმდეგ.

მისი მიზანია დღევანდელ ისტორიულ ქარტეხილისგან დაიფაროს თავისი თავი.

და როცა ამას მოახერხებს იგი დაეხმარება სხვებსაც, ვინც ჩვენს ქვეყანასთან ერთად ჩავარდა დიდ განსაცდელში! (ტაში).

თქვენ კარგად იცით, საქართველო ჩვეულია ბრძოლას თავისი არსებობის დასაცავად. ის საუკუნოებით იბრძოდა, რათა თვისი სულიერი ვინაობა, ნაციონალური ორგანიზმი და ტერიტორია შეენარჩუნებინა. მაგრამ იგი იბრძოდა მხოლოდ თავის დასაცავათ და არ ებრძოდა სხვის არსებობას.

ამასთანავე იგი იბრძოდა არა მარტო ქართველთათვის, არამედ იმ ერებისათვისაც, რომელნიც მოსახლეობენ მის სახელმწიფოებრივ ფარგლებში; მეტსაც ვიტყვი,—ის იბრძოდა თავისი ფარგლების გარეშეც, აგრეთვე სხვების დასაცავად.

ეს დიდი ისტორიული მაგალითი ცხოველმყოფელ ანდერძათ დარჩა ქართველ ხალხს და ეს სრული გარანტიაა იმისა, რომ დღევანდელ ქართველ ერს შერჩენილი აქვს მისი ძირითადი ისტორიული მიდრეკილება-შეუსაბამოს ხოლმე თვის ინტერესი სხვა ერთა ინტერესებს.

სწორედ ამიტომ არც ერთი ერი—ჩვენს ქვეყანაში მცხოვრები, თუ ჩვენს სახელმწიფოს გარეშე მყოფი, არ უნდა განიცდიდეს ჩვენს გამო რაიმე აღელვებას, სულიერ მტკივნეულობას და წყენას.

და განა დღეს სეიმში არ განაცხადეს, სხვა და სხვა ორატორებმა, რომ არ არის ისეთი ერი, რომელიც ცუდათ იხსენიებდეს ქართველ ერს?!

ეს არის იმის თავდები, რომ ახალი სახელმწიფო, ახალი მთავრობა სავსებით გაამართლებს ამ იმედებს.

ჩვენ გვსურს ვიქონიოთ მეგობრული ურთიერთობა ჩვენს გარეშე და ჩვენს შორის მყოფ ერებთან.

ჩვენ მივაქცევთ განსაკუთრებულ ყურადღებას იმ ერის დიდ ტრაგედიას, რომლის ერთი ნაწილი ჩვენს ტერიტორიაზე სცხოვრობს, ხოლო მეორე ნაწილი ჩვენს გარეშე. ეს არის სომხობა.

ძველს ანდერძს დღევანდელი ქართველობა გაიხსენებს და სომხის ერი იმავე მფარველობას ჰპოვებს ჩვენში, რომელსაც ჰპოვებდა იგი ქართველ მეფეთა შორის! (ხანგრძლივი ტაში).

ჩვენ გვსურს კეთილგანწყობილებაში ვიყოთ ამიერ კავკასიის მოსახლეობის დიდ უმრავლესობასთან, მუსულმანებთან. ჩვენ გვინდა, რომ მათ მოგვბაძონ. დაიარსონ ასეთივე სახელმწიფო და შეერთების ხელი გამოგვიწოდონ (მხურვალე ტაში).

ამასთანავე ეს დამოკიდებულობა ჩვენს გარშემო მყოფ ერებისა იქნება უფრო მკვიდრი საფუძველი, რომელიც გაამაგრებს ჩვენს ნორჩ სახელმწიფოს და აგრეთვე ამ ერებსაც და საშუალებას მოუსპობს ჩვენს საერთო მოქიშპეთ წიხლი ჩაგვცენ და დაგვანგრიონ. ჩვენს სახელმწიფო ფარგლებში მოსახლეობს სხვა და სხვა ერთა უმცირესობა. ვაცხადებთ, რომ ეროვნული უმცირესობანი იქნებიან ისევე უფლება მოსილნი, როგორც იქნება ჩვენი სახელიწიფოს ეროვნული უმრავლესობა—ქართველობა.

ეს ერნი,—შეერთებულნი ერთის დროშის ქვეშ შეჰკრავენ კავშირს იმ ერებთან, რომელნიც ჩვენი ქვეყნის ფარგლების გარეშე იმყოფებიან,—და ამით წარმოიშვება ის სახელმწიფოებრივი კავშირი, რომელიც აღადგენს აქ, ჩვენს წინაშე, დაღუპულ სახელმწიფოს.

ეს სახელმწიფო იქნება კავკასიის კონფედერატიული კავშირი. (ხანგრძლივი ტაში მთელს დარბაზში).

ამ რიგად ჩვენი სავალი გზა, ჩვენი იდეალი უნდა იყოს ამ კავშირის შედგენა. ეს კავშირი იქნება ის სახელმწიფოებრივი ორგანიზმი – სახელმწიფოთა კავშირი,—რომელიც საერთო ძალ-ღონე შეკრებილი, მთლიანი წარდგება გარეშე მტერის წინაშე და დაიცავს თავის თავს. (ტაში).

აი მაშინ შეიძლება აღსრულდეს ის, რაც სეიმმა ვერ შექმნა.

და ის, ვინც ახლა შეუგნებლად მიდის ამიერ-კავკასიის ფარგლების გარეშე—შესაძლებელია კვალად მობრუნდეს და საერთო დროშის ქვეშ დადგეს.

ამით დამყარდება ამიერ-კავკასიის ერთობა და აქ მოსახლე ერების ძლიერება (ხანგრძლივი ტაში და ოვაციები).

ეხლა მომეცით ნება გადავიდეთ იმ საგანზე, რომლისათვისაც ჩვენ აქ შევიკრიბენით.

ჩვენ უკვე გვაქვს შემუშავებული აქტი საქართველოს დამოუკიდებლობისა, რომელიც ახლა იქნება წაკითხული.

### საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი.

(**ნოე ჟორდანია** ნაშუადღევის 5 საათსა და 10 წუთზე კითხულობს დამოუკიდებლობის შემდეგ აქტს).

„მრავალ საუკუნეთა განმავლობაში საქართველო არსებობდა, როგორც დამოუკიდებელი და თავისუფალი სახელმწიფო.

მეთვრამეტე საუკუნის დასასრულს ყოველ მხრით მტრისაგან შევიწროვებული საქართველო თავის ნებით შეუერთდა რუსეთს იმ პირობით, რომ რუსეთი ვალდებული იყო საქართველო გარეშე მტრისაგან დაეცვა.

რუსეთის დიდის რევოლიუციის მსვლელობამ რუსეთში ისეთი შინაგანი წყობილება შეჰქმნა, რომ მთელი საომარი ფრონტი სრულიად დაიშალა და რუსეთის ჯარმაც დასტოვა ამიერ-კავკასია.

დარჩენ რა თავის ძალ-ღონის ამარად, საქართველომ და მასთან ერთად ამიერ-კავკასიამ თვით თავს იდვეს საკუთარი საქმეების გაძღოლა და პატრონობა დ შესაფერი ორგანოებიც შეჰქნეს; მაგრამ გარეშე ძალთა ზედგავლენით ამიერ-კავკასიის ერთა შესაერთებელი კავშირი დაირღვა და ამით ამიერ-კავკასიის პოლიტიკური მთლიანობაც დაიშალა.

ქართველი ერის დღევანდელი მდგომარეობა აუცილებლად მოითხოვს, რომ საქართველომ საკუთარი სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია შეჰქმნას, მისი საშუალებით გარეშე ძალის მიერ დაპყრობისაგან თავი გადაირჩინოს და დამოუკიდებელ განვითარების მტკიცე საფუძველი ააგოს.

ამისდა თანახმად საქართველოს ეროვნული საბჭო, 1917 წლის ნოემბერს არჩეული, საქართველოს ეროვნულ ყრილობის მიერ აცხადება:

1. ამიერიდან საქართველოს ხალხი სუვერენულ უფლებათა მატარებელია და საქართველო სრულ-უფლებოვანი დამოუკიდებელი სახელმწიფოა.

2. დამოუკიდებელ საქართველოს პოლიტიკური ფორმა — დემოკრატიული რესპუბლიკაა

3. საერთაშორისო ომიანობაში საქართველო მუდმივი ნეიტრალური სეხელმწიფოა.

4. საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას სურს საერთაშორისო ურთიერთობის ყველა წევრთან კეთილმეზობლური განწყობილება დაამყაროს, განსაკუთრებით კი მოსაზღვრე სახელმწიფოებთან და ერებთან.

5. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა თავის საზღვრებში თანასწორად უზრუნველჰყობს ყველა მოქალაქის სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს განურჩევლად ეროვნებისა, სარწმუნოებისა, სოციალურ მდგომარეობისა და სქესისა.

6. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა განვითარების თავისუფალ ასპარეზს გაუხსნის მის ტერიტორიაზე მოსახლე ყველა ერს.

7. დამფუძნებელ კრების მოწვევამდე მთელის საქართველოს მართვა-გამგეობის საქმეს უძღვება ეროვნული საბჭო, რომელიც შევსებული იქნება ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლობით, და დროებითი მთავრობა პასუხისმგებელია საბჭოს წინაშე.

### აქტის წაკითხვა აივანზე.

(მყუდროების დამყარების შემდეგ თავმჯდომარის წინადადებით ეროვნულ საბჭოს მდივანი **ილია ზურაბიშვილი** სასახლის აივანზე გადის და იქიდან უკითხავს თავმოყრილ ხალხს დამოუკიდებლობის აქტს. აივანზე აქტის კითხვის დროს საპატიო დარაჯთა რაზმი სდგას ორის ეროვნულ დროშით.

აქტის თითოეული დებულება ხალხში დიდს ენტუზიაზმს იწვევს. (ვაშას ძახილი, ტაში და ოვაციები განუწყვეტელია).

### რუსული თარგმანის წაკითხვა.

(ამავე დროს კრების დარბაზში, თავმჯდომარის ამხანაგი **გრიგოლ ვეშაპელი,** თავმჯდომარის წინადადებით, კითხულობს აქტის რუსულ თარგმანს, რასაც მოჰყვება იგივე ტაში და ოვაციები).

### აქტის მიღება და დამტკიცება.

**თავმჯდომარე.** თანახმა ხართ მიიღოთ საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი თუ არა? არავინ. გთხოვთ ასწიოთ ხელი. ვინაა წინააღმდეგი? არავინ. თავი ვინ შეიკავა? არავინ. საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი ერთხმად იქნა მიღებული (ხანგრძლივი ტაში. ისმის ხმები: გაუმარჯოს საქართველოს! გაუმარჯოს!).

ვთხოვ საბჭოს ყველა წევრებს, რომ კრების შემდეგ მოვიდნენ აქ და აქტს ხელი მოაწერონ.

### დროებითი მთავრობის შემადგენლობა.

**თავმჯდომარე.** ეხლა ნება მიბოძეთ გამოვაცხადო ჩვენის დროებითი მთავრობის შემადგენლობა, რომელიც შედგენილია აღმასრულებელ კომიტეტის მიერ, ფრაქციების წარმომადგენლებთან შეთანხმებით.

1. მთავრობის თავმჯდომარე და შინაგან საქმეთა მინისტრი **ნოე რამიშვილი.**

2. საგარეო საქმეთა მინისტრი **აკაკი ჩხენკელი.**

3. საახედრო მინისტი **გრიგოლ გიორგაძე.**

4. ფინანსთა და ვაჭრობა მრეწველობის მინისტრი **გიორგი ჟურული.**

5. განათლების მინისტრი **გიორგი ლასხიშვილი.**

6. მიწათ-მოქმედებისა და შრომის მინისტრი **ნოე ხომერიკი.**

7. იუსტიციის მინისტრი **შალვა მესხიშვილი.**

8. გზათა მინისტრი **ივანე ლორთქიფანიძე.**

(ყველა ზემო აღნიშნულ პირთ კრება და დამსწრე საზოგადოება ტაშით და ოვაციებით ეგებება. აკაკი ჩხენკელის გარდა, რომელიც საზავო დელეგაციაში იმყოფება ყველა დანარჩენნი დარბაზში არიან. მინისტრები მთავრობის ადგილს იჭერენ).

### მთავრობის დამტკიცება.

(**თავმჯდომარის** შეკითხვაზე კრება ერთხმათ ამტკიცებს ზემოდ დასეხელებულ პირთა მთავრობათ არჩევას).

### არსებულ კანონების დადასტურება.

**თავმჯდომარე.** ახლა საჭიროა, ვიდრე ჩვენ შეუდგებით კანონების გამოცემის მუშაობას, ძალაში დარჩეს ყველა ის კანონი, რომელიც დღემდე არსებობს და საქართველოში მოქმედობს, სხვათა შორის სეიმის დადგენილებანიც. (კრება ერთხმად იღებს ამ წინადადებას).

### ფინანსები.

**თავმჯდომარე.** ამის გარდა, ჩვენ უნდა მივიღოთ წინადადება ფინანსების შესახებ. ვინაიდან საფინანსო საქმე მეტის მეტად რთულია, საჭიროა დროებით დარჩეს ძველი წესი ფულის ბეჭვდისა, სანამ ჩვენი საკუთარი სახელმწიფოებრივი ფულის სისტემა შემუშავდება; ე. ი. ამიერ კავკასიას ფულის საერთო სისტემა იქნება, მუსულმანებთან და სომხებთან შეთანხმებით.

**გიორგი გვაზავა.** (ადგილიდან) ეგ საკითხი გადაიდოს!

**თავმჯდომარე.** გადადება შეუძლებელია. ფული ყოველ წამს საჭიროა და ჩვენ კი ფულის სისტემას სასწრაფოთ ვერ შევქმნით.

ამასვე თხოულობს მთავრობა.

(კრება ერთხმად იღებს თავმჯდომარის წინადადებას. ფინანსიური საქმის შესახებ. ე. ი. დროებით დარჩეს ძველი წესი ფულის სისტემის).

### სამანდატო კომისია.

**თავმჯდომარე.** აგრეთვე საჭიროა ჩვენს შემდეგ კრებას კანონებრივი ხასიათი მივცეთ. გამოვარკვიოთ ვინ არის წევრი და ვინ კანდიდატი. ამისთვის უნდა ავირჩიოთ სამანდატო კომისია, რომელიც შემდეგ სხდომისთვის წარმოგვიდგენს მოხსენებას. გთხოვთ დაასახელოთ. ასახელებენ:

1. თევდორე კიკვაძეს.
2. რაჟდენ არსენიძეს.
3. შალვა მიქელაძეს.
4. იასონ ლორთქიფანიძეს.
5. გიზო ანჯაფარიძეს.
6. კალენიკ ქავთარაძეს.
7. გიორგი გვაზავას. კრება ერთხმად ამტკიცებს ამ შემადგენლობას.

**თავმჯდომარე.** დღევანდელი წესრიგი დასრულებულია. ამ დღეებში ჩვენი მთავრობა წარმოუდგენს საბჭოს დეკლარაციას.

### მისალმებანი.

**თავმჯდომარე.** ახლა ჩვენ უნდა გადავიდეთ კრების საგნის მეორე მხარეზე. აქ იმყოფებიან ერთა წარმომადგენლები, რომელთაც განაცხადეს სურვილი მიესალმონ საბჭოს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების გამო.

### მაჰმადიანთა წარმომადგენელის ფათალი-ხანი ხოელის სიტყვა.

მაჰმადიანთა ცენტრალ კომიტეტის სახელით მოგილოცავთ, დამოუკიდებელ საქართველოს მოქალაქენო, თქვენს დღევანდელ ბედნიერებას,

100 წელზე მეტია, რაც საქართველო იბრძოდა თავის დამოკიდებლობისათვისაც და აი დღეს აგისრულდათ ის ნატვრა, რომელიც ჩამარხული იყო ყოველ ქართველ მამულიშვილის გულში.

ამიერ-კავკასიის ერები ცდილობდნენ, რომ შეექმნათ ერთი მთლიანი სახელმწიფო, მაგრამ დღევანდელ პირობებში ჩვენ ეს ვერ შევძელით.

ეხლა ჩვენ ვშორდებით ერთმანეთს, რომ შემდეგში უფრო მტკიცედ შევკავშირდეთ, ჩვენი განშორება არ იქნება ხანგრძლივი. უკვე ახლოა ის დღე, როდესაც ჩვენ სახელმწიფოებრივ ცხოვრებას ერთი მიმდინარეობა მიეცემა.

ჩვენ ვგრძნობდით განშორების აუცილებლობას, მაგრამ ისიც გვწამს, რომ მალე ისევ შევკავშირდებით.

ნება მომეცით, ერთხელ კიდევ მოგილოცოთ ამიერ-კავკასიის ყველა მაჰმადიანის სახელით: გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს! (ტაში).

### ადგილობრივ პოლონელთა წარმომადგენელის სიტყვა.

(თარგმნილია რუსულით).

ჩვენ პოლონეთის შვილები მივესალმებით მებრძოლ საქართველოს თავისუფალ შვილებს და უსურვებთ ყოველივე სიკეთეს.

გაუმარჯოს საქართველოს!

### ოსების წარმომადგენელის სიტყვა

**გიორგი გაგლოევი.** ამხანაგებო და მოქალაქენო!

ამ ტრიბუნაზე მე განვიცდი იმავე გრძნობას, რომელსაც განიცდით თქვენ. ეს გასაგებიც არის. მე ვარ წარმომადგენელი არა მარტო ოსების, არამედ საქართველოს ეროვ-

# ყველა ქართველის უბედნიერესი დღე!

## საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის დღისადმი დაკავშირებული ღია წერილი

**ქართველ ერს,**

**სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარეს ილია II-ს**

**საქართველოს ხელისუფალთ, პატივცემულებს: გიორგი მარგველაშვილს, გიორგი კვირიკაშვილს, ირაკლი კობახიძეს, ნინო გვენეტაძეს, კახი კალაძეს**

**ქართველი ერის გამორჩეულ შვილს, პატივცემულ ბიძინა ივანიშვილს**

მშობლიურო ქართველო ერო და სამშობლოს მამულიშვილნო, გულით გილოცავთ ჩვენი ქვეყნის ეროვნულ დღესასწაულს — 2018 წლის 26 მაისს და დამოუკიდებლობის აქტის გამოცხადების 100 წლის საიუბილეო თარიღს! ღმერთმა დალოცოს ჩვენი ერი და ქვეყანა!

1918 წლის 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის გამოცხადებამ საფუძველი დაუდო ქართველი ერის თვითმყოფადობას, თავისუფლებას, აღმშენებლობას, სულიერების ამაღლებასა და ქვეყნისათვის პირველი კონსტიტუციის შექმნის იდეას, რომელიც საქართველოს დამფუძნებელთა კრებამ 1921 წლის 21 (22) თებერვალს დაამტკიცა. მიუხედავად იმისა, რომ კონსტიტუციის შექმნისას ბევრი იდეა ევროპის ნეიტრალური ქვეყნის — შვეიცარიის კონსტიტუციიდან იქნა გათვალისწინებული, მისი შექმნის პროცესი ძალზე წააგავდა ამერიკის შეერთებულ შტატებში განხორციელებულ მსგავს მოვლენებს.

მაშასადამე, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება და კონსტიტუციის შექმნა-დამტკიცება მსოფლიოში მიღებული საერთაშორისო წესების მიხედვით მოხდა. ამდენად, საქართველო იმსახურებდა და იმსახურებს დამოუკიდებელი ქვეყნის სტატუსს, ეროვნულ თვითმყოფადობას, სუვერენიტეტს და მსოფლიოს ქვეყანათა მოკრძალებულ მოპყრობას.

მსოფლიოში სადღეისოდ არსებული დიდი რაოდენობის ბირთვული მუხტის არსებობის გამო, უნდა შეიქმნას მსოფლიოს ერთიანი კონსტიტუცია, როგორც გარანტი მშვიდობის, თანასწორობის, დამოუკიდებლობისა და სიკეთისა. ვფიქრობთ, ამ დიდი მსოფლიო მნიშვნელობის მოვლენის განხორციელებაში ქართველი მეცნიერებიც მიიღებენ მონაწილეობას, როგორც პატარა ქვეყნის წარმომადგენლები, მაგრამ ძალზე დიდი ისტორიული გამოცდილების პრაქტიკოსები. რადგან მაშინ, როცა აშშ იქმნებოდა და ჯერ კიდევ კონსტიტუცია არ ჰქონდა მიღებული, ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე მეორე (მისი წარმომადგენელი) 1783 წელს რუსეთ-საქართველოს მშვიდობისა და ურთიერთთანადგომის ტრაქტატს აწერდა ხელს. აღარაფერს ვამბობთ ჩვენს უძველეს დამწერლობაზე, მის სამ ანბანზე, უძველეს კოლხურ მედიცინაზე, რწმენაზე, „ვეფხისტყაოსანზე“, V და XII საუკუნეების დემოკრატიის სიწმინდეზე, გმირულ ბრძოლებზე, ლიტერატურულ შედევრებსა და უნიკალურ სახელოვნებო ქმნილებებზე!

საქართველო, ქართველი ერის სულიერი და მატერიალური სამკვიდროა მსოფლიო ცივილიზაციის საგანძურში.

ჩვენო მამულიშვილნო, გულწრფელად გვსურს, ქართველ ერს და თქვენ, მის წინამძღოლთ, გისურვოთ მშვიდობა, ჯანმრთელობა, ოჯახური ბედნიერება, სიკეთე, სიხარული და ეროვნული აყვავება, იდღეგრძელეთ!

რამდენადაც საქართველოს ეროვნულ დღესასწაულს და დამოუკიდებლობის აქტის გამოცხადების საუკუნოვან თარიღს უდავოდ დიდი პოლიტიკური, სამართლებრივი, ფილოსოფიური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური და სამარადჟამო დატვირთვა აქვს და დღეს თქვენ ბრძანდებით ერის თავკაცნი, გვსურს, შეგახსენოთ ქართველი ერის გმირული წარსულის ზოგიერთი მოვლენა და ქვეყანაში არსებული ცალკეული პრობლემები, რათა იქნებ ერთად დავძლიოთ ისინი ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ. თქვენ ძალზე დიდი პასუხისმგებლობა გაკისრიათ დანგრეული ქვეყნის აღორძინების საქმეში, ერი თქვენ შემოგყურებთ. დღეს ამერიკისა და რუსეთის მართვა უფრო ადვილია, ვიდრე ჩვენი ქვეყნისა, ვინაიდან იქ მართვის მექანიზმები დახვეწილია და ყველა ხელისუფალი ამ წესსა და კანონს ემორჩილება. ჩვენთან კი, ბევრ შემთხვევაში, ცალკეულის ნება წინ უსწრებს ნორმატიული აქტის მოთხოვნას.

ჩვენი აზრით, ხელისუფლებამ პირველ რიგში სამართალი და სამართლიანობა უნდა დაამკვიდროს და მერე — დემოკრატია. ჩვენთან ჯერჯერობით პირიქითაა. დემოკრატიის ნიღბით ინგრევა სამართალი! სამართლის ნგრევა კი იწვევს ადამიანის ფსიქიკის შელახვას, სიწმინდეთა გაუფასურებას, აღვირახსნილ ქმედებას და ა.შ. ციცერონი წერდა: „ქვეყანას, რომელიც არ ემყარება სამართლის დედაბოძს, განვითარების პერსპექტივა არა აქვს“-ო.

რაც შეეხება დემოკრატიას, იგი უნდა ეფუძნებოდეს სამართალს, კულტურას, ცივილურობას, შეგნებულ და კარგად გააზრებულ ქმედებებს, უზრუნველყოფილ სოციალურ-ეკონომიკურ ყოფიერებას, სამშობლოს სიყვარულს, პატრიოტიზმს, სათნოებას, ადამიანთა სიყვარულს და სიკეთეს. მხოლოდ სიტყვიერი დემოკრატია კაჭკაჭის გალობასა ჰგავს, რომელმაც ჩვენში მსმენელი დაკარგა, უცხოელებში კი ირონიულ ღიმილს იწვევს!

ცივილიზაციის იმ საგანძურში, რომელშიც ქართველი ერი ოდითგანვე საერთაშორისო ღირებულების მქონე ფაქტებს წერდა, ოქროს ასოებითაა ჩაწერილი დემოკრატიის ნამდვილი ცნება და დანიშნულება: თანასწორობა, გონიერება, მიმტევებლობა და ქვეყნის აღმშენებლობა. ჯერ კიდევ V საუკუნეში ქართლის მეფემ ვახტანგ გორგასალმა გამოიჩინა ნამდვილი დიდსულოვნება და კბილების ჩამტვრევა აპატია ბერძენ ღვთის მსახურს, რომელმაც ულირსი საქციელი ჩაიდინა მუხლმოყრილი მლოცველი მეფის მიმართ; თამარ მეფემ XII საუკუნეში აკრძალა ადამიანის სიკვდილით დასჯა. მან ტყვედ ჩავარდნილი მოსისხლე და მოძალადე თურქ-სელჩუკი ეზინკელი ამირაც შეიწყალა და, საერთაშორისო ჰუმანიზმის ნიშნად, ცხენის უკანა ფეხის ნალში გაცვალა. მაშინ, როცა ევროპელებმა ტყვეთა დასჯა, ადამიანთა მოკვდინება — ჩამოხრჩობა და გილიოტინით თავის მოკვეთა XX საუკუნეში აკრძალეს. ასე რომ, ქართველებს კლასიკური დემოკრატიის ისტორიული გამოცდილება აქვთ და მისი „იმპორტი“ ნამდვილად არ სჭირდებათ!

ქართველებმა სიტყვა „დემოკრატია“ ფუჭად არ უნდა აქციონ. ფუჭად, ადამიანის პირის ველიდან წარმოთქმული სიტყვა „სირცხვილია“, რამეთუ იგი საქმეს სცილდება. ქართველებს გენში აქვთ შესანიშნავი ბერძენი ფილოსოფოსის სოკრატეს შეგონება პლატონისადმი, რომ ადამიანისათვის ყველაზე დიდი სასჯელი არა სიკვდილი, არამედ სირცხვილია!

ამ მცნებით იცხოვრა ქართველმა ერმა და დაამტკიცა მისი სიდიადე. და ეს სიდიადე, პირველ რიგში, ამაღლებული სული გახლდათ. სული, რომელიც ქართველ ერს უფალმა შთაბერა და მასზე იქადაგეს წმინდა მოციქულებმა: ანდრია პირველწოდებულმა, სიმონ კანანელმა, მატათამ და შემდგომში წმ. ნინომ.

სულის სიდიადე თუ მსოფლიოში ვინმემ გამოიჩინა და დაიცვა, ეს უპირველესად ქეთევან თავდადებულია. სულის სიდიადის აღიარებით ბრწყინვალე მეცნიერმა და სამხედრო ანალიტიკოსმა ივერი ფრანგიშვილმა გარდაცვლილი დედის მოლაპარაკე ბაგე დაინახა. ცხონებულმა ნოდარ დუმბაძემ კი სულის მარადისობის კანონი დაგვიწერა: „ადამიანის სული გაცილებით მძიმეა, ვიდრე სხეული. იმდენად მძიმე, რომ ხშირად ერთ ადამიანს მისი ტარება არ შეუძლია. ამიტომ, ვიდრე ცოცხლები ვართ, როგორმე უკვდავვყოთ ერთმანეთის სული, თქვენ — ჩემი, მე — სხვისი, სხვამ — სხვისი და ასე დაუსაბამოდ, რამეთუ იმ სხვისი გარდაცვალების შემდეგ არ დავობლდეთ და მარტონი არ დავრჩეთ ამ ქვეყანაზე“. ამიტომ, როგორც ცხონებული ჭაბუა ამირეჯიბი იტყოდა: „მოდი, ყველამ ერთად დავლიოთ იმ მძიმე ხელობის აღსანიშნავი და სადიდებელი, რასაც ქართველობა ჰქვია“. ასე იგალობეს ტატომ და ლადომ, ზუსტად ერთი საუკუნის სხვაობით; ერთმა — 22 წლისამ „ბედი ქართლისა“ გვაჩუქა, ხოლო მეორემ (26 წლისამ) — ქართული ერის სამეტყველო ენა ღმერთების ენად გამოცხადების ჰიპოთეზა შემოგვთავაზა!

ტატომ 27 წელი, 10 თვე და 18 დღე იცოცხლა, ლადომ — 26 წელი, 5 თვე და 9 დღე; მაგრამ მათ მსოფლიო ცივილიზაციისთვის უსაზღვროდ მეტი გააკეთეს და შექმნეს, ვიდრე ინგლისში მცხოვრებმა 206 წლის თომას კალმენმა! მაგრამ არც ერთი მათგანი თვალცრემლიანი არ წასულა ამ ქვეყნიდან. მათ ახალგაზრდულად მძლე ენერგიით შეაღეს მარადისობის სასუფეველი და მანათობელ ვარსკვლავებად იქცნენ თავიანთი მოდგმისა და ჯიშისათვის. სამწუხაროა, რომ ქართული ენის საყოველთაო ღმერთის ენად მაცნე ლადო თავის სულიერ ძმასთან, ტატოსთან, მთაწმინდაზე არ განისვენებს, რამეთუ მის სულს ქართველი ერი მთაწმინდაზე უკეთ დაინახავდა, როგორც კაშკაშა ვარსკვლავს. დიდად სამწუხაროა, რომ ვერ ვახერხებთ სელიმ ხიმშიაშვილის თავისა და ტანის გაერთიანებას (პირველი აჭარაში, სოფელ ნიგაზეულში ბრძანდება, თავი კი — სტამბოლში, სულთნის „ჩემბერლიტას“ სასაფლაოზე!) და მთაწმინდაზე დაბრძანებას, რადგან ყველამ უნდა იცოდეს მისი ნათქვამი: „თქვენ (მიმართა ჯალათ თურქ-სელჩუკებს) შეგიძლიათ ჩემი თავი მოკვეთოთ ჩემსავე ტანს, მაგრამ დედააჭარას ვერასოდეს მოგლიჯავთ საქართველოს“. გვსურს ყველამ იცოდეს, რომ აჭარას, აფხაზეთს, ჰერეთს, ჯავახეთს, სამეგრელოს, ქვემო ქართლს ვერვინ მოჰკვეთს საქართველოს! ქართველ ერს არც ერთ უცხო ტომთან მიმართებაში არ დაუმსახურებია ცუდი, სამწუხაროდ, თავისი კეთილი მოპყრობითა და სტუმართმოყვარეობით, ბევრნი ავი ზრახვებით პასუხობენ.

ქვეყანაში ჩასატარებელია რეფორმების მთელი კასკადი სულიერებისა და ეროვნული მეურნეობის სხვადასხვა დარგში.

ქვეყანაში ძალზე ცუდი მდგომარეობა გვაქვს დემოგრაფიის ნიშნით; ქართველების რაოდენობა კატასტროფულად კლებულობს. რამდენიმე წლის წინათ (2011 წელს) თბილისის ერთ-ერთ ცენტრალურ სამშობიაროში აღდგომა დღეს 13 ბავშვი დაიბადა, მათგან 11 არაქართველი იყო!

კატასტროფულია უმუშევრობა და ადამიანთა საზღვარგარეთ მიგრაცია! შეგვზარა ბოლო დღეებში სატელევიზიო ფრაგმენტებმა: თურქეთში ჩაის საკრეჭი მაკრატლით მიმავალი ქართველების უზომო რაოდენობამ (სარფის საბაჟოსთან) და მათმა განწყობამ... ასევე, ქუთაისის კოპიტნარისა და თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის აეროპორტში უცხოეთში მიმავალ ქართველთა სიმრავლემ.

საცოდავია ქვეყანა, რომლის ხელისუფლება საკუთარი შრომით მძლე რესურსს ვერ იყენებს საკუთარი ქვეყნის აღმშენებლობისთვის!

ფრიად არასასიამოვნო სიტუაცია გვაქვს სოფლის მეურნეობაში. ქვეყნის საარსებო ეს უპირველესი დარგი თანდათან უარესობისკენ მიდის. სავაჭრო ქსელში მნიშვნელოვნად შემცირდა ქართული პროდუქცია. ბაზარზე ძირითადად იმპორტირებული ხილი და ბოსტნეული იყიდება. ვაღიაროთ, რომ ქართველი კაცი მოწყდა მიწას, მის სურნელსა და მადლს! ჩვენი აზრით, აუცილებელია სოფლის ბანკის შექმნა.

ქვეყანაში თავისი სწორი გზა ვერ იპოვა განათლების სისტემამ! გაუთავებელი ექსპერიმენტები, რეფორმები „კომბლესა“ და „ნაცარქექიას“ შემოქმედებაში! უნაყოფო და უინტერესო ლექციები, დაუსწრებლობა, აკადემიური ჩემორჩენილობა, ფინანსური პრობლემა და ა.შ. ქართულ დიპლომზე დიდი პრაქტიკული ძალა აქვს გერმანიის ლუდის ბარისა და აშშ-ის იურიდიული ფირმებისა თუ საქონლის ფერმის 3-თვიან სერტიფიკატებს; ახალგაზრდები აღარ იზრდებიან არც ინტელექტუალურად და არც იდეურ-მორალურად. ყველაფერში ამერიკელებს რომ ვბაძავთ, იქნებ განათლებისა და ახალგაზრდების აღზრდის საქმეშიც მივბაძოთ. მათი პრეზიდენტი (ფ. რუზველტი) ხომ ბრძანებდა: „თუ ახალგაზრდებს გავზრდით ინტელექტუალურად, მაგრამ არ აღვზრდით იდეურად და ზნეობრივად, ამით უდიდეს საფრთხეს შევუქმნით ქვეყანას!“-ო. ქვეყანას არა აქვს (ჩვენი შეხედულებით) ნათლად ჩამოყალიბებული იდეოლოგია სამართალში, ეკონომიკაში, განათლებაში, მორალში და ა.შ.

საგანგაშოა საქ. მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის დაფინანსების ოდენობაც (სახელმწიფო ბიუჯეტის მთელი მოცულობის 0,2%), მაშინ, როდესაც ანალოგიური მონაცემი აშშ-ში 5%-დან (2017 წ.) 7%-მდე (2018 წ.) გაიზარდა. ასე ჩვენ მეცნიერებაში ხარისხს ვერ ავამაღლებთ.

ჩვენი თხოვნაა, იქნებ დავიმდაბლოთ თავი, ავმაღლდეთ სულიერად და დავსხდეთ ერთად ხელისუფლების ყველა შტო, მეცნიერები, პრაქტიკოსები, მკვლევრები, ანალიტიკოსები, გლეხები და ფერმერები, სტუდენტები და პენსიონერები, ე.წ. „პოზიციაც“ და „ოპოზიციაც“, შევიმუშაოთ ერთობლივი იდეოლოგიურ-თეორიულ-პრაქტიკული პროგრამები, მივცეთ მათ კანონის ძალა და ყველა დავემორჩილოთ მას. კონსტანტინე გამსახურდია ხომ ბრძანებდა: „თუ მთელმა ერმა გამარჯვება არ მოინდომა, მაკედონელიც ვერ გაამარჯვებინებს მას!“ იქნებ ჩვენი სათაყვანებელი სამშობლო როგორმე დავაფუძნოთ სამ ძირითად დედაბოძზე: სულიერებაზე, სამართალსა და ეკონომიკაზე.

ვფიქრობ, ყველა ქართველის უპირველესი საფიქრალია ჩვენი ქვეყნის დღევანდელი და ხვალინდელი დღე, ჩვენი არჩეული გზის ვექტორები, ერის შემოქმედება, შრომა, ფიქრი და ზრუნვა. მომავალზე რა როლი შეიძლება იპოვოს და „მოირგოს“ ქვეყანამ ამ დიდ მარათონში. ვართ კი საამისოდ მზად?

ბატონო ბიძინა, თქვენით მადლიერია ქართველი ერი ათასწლოვანი სამების ტაძრის ჩუქებისთვის. იქნებ პრეზიდენტის რანგში ჩასატარებელი რეფორმების არქიტექტორობაც ითავოთ! ერი უცილოდ მხარში ამოგიდგებათ!

საქართველოში დამოუკიდებლობის დღე ეროვნულ დღესასწაულად ვაქციოთ გონიერი შრომით, მიმტევებლობით, ერთმანეთისადმი პატივის მიგებით და, რაც მთავარია, საკუთარ თავზე გამარჯვებით, სულიერი ამაღლებით!

იქნებ 1921 წელს მოღვაწე სიმონ ქვარიანის რჩევაც გავითვალისწინოთ: „ვევედროთ ზენას, აგვიხილოს გონების თვალი, მოგვაშოროს სახიფათო ბილიკს და გადაგვიყვანოს იმ სწორსა და ფართო შარაზე, რომელზედაც დიდი ხანია, დგანან და მიდიან მტკიცედ ევროპა-ამერიკის ერები. უნდა შეიცვალოს ძირითადად ჩვენი ფინანსური და ეკონომიკური პოლიტიკა და მიეცეს ფართო ასპარეზი კაპიტალს და კერძო თაოსნობას, თუკი გვსურს, ჩავაყენოთ ნორმალურ კალაპოტში და გადავარჩინოთ ერი სრულ განადგურებას“. როგორც ჩანს, ეს ჰიპოთეზა კვლავ ძალაშია!

ხელისუფლების თავკაცნო, მეცნიერებო, შემოქმედნო, დიდი სურვილი გვაქვს, ჩასატარებელი სერიოზული რეფორმებით ქვეყნის აღმშენებლობის მესაჭეებად გიხილოთ! გახდით აღმშენებლები! მიბაძეთ დიდ დავითს! ნუ გეშინიათ, ხალხი გვერდით დაგიდგებათ. ე.წ. „ოპოზიცია“ პირველი დაგიხრით თავს! არ ვიკისროთ მესაფლავის ფუნქცია!

დღეს ქართველისათვის უმოქმედობის სირცხვილი სიკვდილის სასჯელს აღემატება! და თუ საამისოდ მსხვერპლია საჭირო, ჩვენ, სამი კაცი, მზად ვართ, წმინდა სამების სამსხვერპლოზე დავდოთ თავი...

ოღონდ ერი გამრავლდეს და ქვეყანა აღორძინდეს.

**ქრისტესმიერი სიყვარულითა და ეროვნული პატივისცემით:**

**ვაჟა ბერიძე** (თბილისი), საქართველოში ყველაზე მრავალრიცხოვანი გვარის (ბერიძე) ეთნარქი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს ეროვნულ და სოციალურ ურთიერთობათა აკადემიის აკადემიკოსი (ტელ.: 599-33-53-60);

**ვანო პაპუნიძე** (აჭარა), საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აჭარის ა/რ რეგიონალური სამეცნიერო ცენტრის ხელმძღვანელი, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აკადემიკოსი (ტელ.: 579-26-26-87);

**აპოლონ გადელია** (სამეგრელო), იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქ. ადვოკატთა ასოციაციის წევრი, შსს თადარიგის პოლკოვნიკი (ტელ.: 577-46-93-53).

# ნუ იქნებით ნინია კაკაბაძეზე მეტი ნინია!..



## „რ2“ VS საქართველო, ანუ სრული ლუსტრაცია

24 მაისს საპატრიარქომ საკმაოდ მრავლისმთქმელი განცხადება გაასაჯაროვა და ხელისუფლებას მოუწოდა, გადადგას ქმედითი და სწრაფი ნაბიჯები: **მოვუწოდებთ ხელისუფლებას, გადადგან ქმედითი და სწრაფი ნაბიჯები, რათა შეიქმნას საზოგადოების დამცავი სამართლებრივი და სხვა სახის მექანიზმები და გატარდეს შესაბამისი პოლიტიკა, რომ ქვეყანა არ დადგეს უმართავი პროცესების განვითარების საშიშროების წინაშე.** უმართავი პროცესების განვითარების შესაძლებლობა, მას შემდეგ რაც ნიკა გვარამიამ საჯაროდ აღნიშნა, რომ ეს „ტელევიზია“ ნაცმოძრაობის პროპაგანდის განყოფილებაა, უფრო ქმედითი და აქტიური გახდა, რაშიც დღითი დღე ვრწმუნდებით.

ეგ კი არა და საპატრიარქოს წერილის „საპასუხოდ“, მან ცინიზმითა და უაზრო ბრალდებებით გატენილი მორიგი „განცხადება“ გამოაცხო:

**„საპატრიარქოში არსებული შავბნელი დაჯგუფება, რომელიც დღეს სამწუხაროდ, გამოხატავს საქართველოს საპატრიარქოს აზრს, ეკლესიას აზიანებს და ამას ყველა კვლევა აჩვენებს და სამწუხაროდ, ეს შავრაზმული დაჯგუფების დამსახურებაა. ამ შავრაზმულ დაჯგუფებას არ უნდა დემოკრატია, არ უნდა სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება, მას უნდა ცენზურა, მას უნდა საქართველოში ქაოსი, მას უნდა საქართველოში რუსული მმართველობა და საქართველოს ევროინტეგრაციას ეწინააღმდეგება“,** – განაცხადა ნიკა გვარამიამ.

აზრი არა აქვს ამ განცხადების და მისი კიდევ სხვა „მოსაზრებების“ განხილვას და გვარამიას გაკიცხვას. ის მაინც ვერ გაიგებს.

მიუხედავად იმ ნეგატიური ფონისა, რაც შეიქმნა, თამამად შეიძლება თქმა, რომ დაიწყო სრული ლუსტრაცია და ყველა პოლიტიკურმა ძალამ, მიუხედავად იმისა, რომ მანამდეც ვიცოდით მათი განწყობები, თავი ზუსტად იმ მხრიდან დაგვანახვა, რასაც წარმოადგენენ.

**„საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ ლიდერის, დეპუტატ ირმა ინაშვილის განცხადებით, მისი პარტია ეთანხმება 24 მაისს საპატრიარქოს მიერ გავრცელებულ განცხადებას და სრულად იზიარებს მის სულისკვეთებას.**

ინაშვილის თქმით, „პატრიოტთა ალიანსის“ არც ერთი წევრი ინტერვიუს არ მისცემს „რუსთავი-2“-ს.

რაც შეეხება იმ ე.წ. „ჭიაჭუა პარტიებს“, რომელთა „ლიდერებსაც“ ვანოს, ნანუკას, მაიას დ.ა.შ შოუებში სტუმრის ადგილი გამოუთავისუფლდათ და ამით შინაგანად ბედნიერები არიან, „უმკაცრესად“ აკრიტიკებენ „საპატრიარქოს მიერ ცენზურის დაწესების ცდას“.

რა თქმა უნდა, მათი ფაფხური „დემოკრატიის გადარჩენაზე“, სრული სისულელეა. სისულელეა, რადგანაც თვით მათმა ბელადმაც კი ჯულიეტოვნა მიტუქსა და შეიძლება ითქვას, რომ „კუთხეშიც“ გაამწესა.

**„გიორგი გაბუნია არის ძალიან კარგი ჟურნალისტი, მაგრამ ამ ბოლო დღეებში, მისი გამოსვლა, სხვა არაფერი იყო, თუ არა დიდი შეცდომა და ჩავარდნა.**

**ყველას უნდა ესმოდეს, რომ ზღვარგადასული არ ვარგა არაფერი. ღვთისმშობლის აგდებულად მოხსენება შეურაცხყოფს ყველა მორწმუნე ქრისტიანის გრძნობებს, ისევე როგორც საკუთარი დედის აუგად მოხსენიება. პირადად ჩემთვის, ეს იყო ძალიან უსიამოვნო სანახავი.**

**ვთხოვ ყველას, გავუფრთხილდეთ ერთმანეთის გრძნობებს და თავი შევიკავოთ უაზრო წყენის მიყენებისგან და როდესაც ასეთი რამ ხდება, ჩვენ გვაქვს უფლება, მოვითხოვოთ საჯარო ბოდიში! ამავე დროს, მიუღებელია ამ თემის, ერთი ჟურნალისტიდან, მთლიანად „რუსთავი-2“-ზე“ განვრცობა და მთელს ტელევიზიაზე აგრესიის გადატანა, რაც პირდაპირ შედის ქართველი ხალხისა და საქართველოს ეკლესიის მტრის, ბიძინა ივანიშვილის, ინტერესებში!“,** – წერს მიHა.

მოკლედ რომ ვთქვა, დარწმუნებული ვარ, რომ დღეს ნაცებსა და მათ სატელიტებში დიდი „რუზრუზი და რია-რია იქნება“. იქით „დემოკრატის დროშა“ აქვთ ასაფრიალებელი, აქეთ ვანოს შოუ ელოდებათ და ამ დროს, ვიღაც უსახლკარო ბელადი, ამსტერდამის რომელიღაც ბორდელიდან, ცივ წყალს ასხამს თავისი საცოდავი კუდების ქიჩმაჩს.

არ ვიცი, რა ეშველება ამდენ ბედუკულმართს.

საგულისხმოა, ხელისუფლების პოზიცია ამ საკითხთან დაკავშირებით, რადგანაც იმის თქმა, რომ „არ ვიცოდით“, „არავინ იღებდა ხმას“ დ.ა.შ. რბილად რომ ვთქვა, ტყუილი იქნება.

**2014 წლის 2 აგვისტო.**

**ხაინდრავამ „რუსთავი-2“-ს რომ არ მისცა ინტერვიუ, ძალიან მაგარი რამ გააკეთა. ამ ანტისახელმწიფოებრივ კომპანიაში არავინ არ უნდა მივიდეს. არც ერთი ნორმალური ადამიანი და არც ერთმა ბიზნესმენმა არ უნდა მიიტანოს რეკლამა. წინააღმდეგ შემთხვევაში ეს ქმედება საზოგადოების მხრიდან უნდა აღიქვას, როგორც სახელმწიფოს მტრებთან თანამშრომლობა.**

**ეს შეიძლება ისე განვიხილოთ, როგორც რომელიმე დასავლეთელი მოღვაწის მიერ პროფაშისტურ, ან სკინხედურ მედიასაშუალებასთან ურთიერთობა!**

**2015 წლის 7 დეკემბერი.**

**„რუსთავი-2“-ზე სამართლიანობის აღდგენის იდეის გასაპიარებლად გადის საქართველოს პროკურატურის რეკლამა და ამ რეკლამის მიზანი სტაჟიორების მოზიდვაა. „რუსთავი-2“-ს რომ უყურებს (თან „კურიერს“), იქ გასული ნებისმიერი ინფორმაციის (დაწყებული კბილის ჯაგრისის რეკლამიდან და დამთავრებული კვესიტაძის „განსხვავებული აქცენტებით“) რომ სჯერა და პროკურატურაში სტაჟიორად რომ მივა, ნამდვილად აღდგება სამართლიანობა!!! (ვაი ჩვენს პატრონს).**

**ბიუჯეტიდან „რუსთავი-2“-ში ამ რეკლამისთვის გადახდილ ფულზე აღარაფერს ვამბობ!**

**2014 წლის 16 სექტემბერი.**

ამდენი ხანია ვფიქრობ და ვერ გავიგე რატომ:

**„რუსთავი-2“-ში ჭიკაიძეს ყოველდღე დასცინიან, ანტისახელისუფლებო პროპაგანდას ეწევიან (მე კი არა, თვით ბიძინამაც თქვა) და ამათ კი შსს-ს აკადემიის და ახალი პირადობების რეკლამა მიაქვთ, უზარმაზარ ფულს უხდიან, რომლიდანაც რუსთავი-2-ელები ხელფასებს იღებენ და უფრო მწარედ ღადაობენ.**

**2014 წლის 26 დეკემბერი.**

**დღევანდელი „ვანოს შოუს“ შემდეგ სულმოუთქმელად ველოდები იუსტიციის სამინისტროს, შსს-ს და მთავრობის კანცელარიის რეკლამას „რუსთავი-2“-ზე.**

**ხანდახან მგონია, რომ გვარამია მიდის მთავრობაში და ეუბნება:**

**– რეკლამა არა გაქვს, ბიჭო?**

**– არა,**

**– აბა ახტი!**

ეს ჩემ მიერ მხოლოდ სოციალურ ქსელში გამოქვეყნებული პოსტებია. ჩვენს გაზეთში დაბეჭდილ სტატიებსა, თუ ტელე-რადიო გადაცემებში გახმიანებულ ამ საკითხებზე აღარაფერს ვამბობ.

საკმაოდ დიდი პრობლემაა „რ2“-ისთვის წინააღმდეგობის გაწევა. დიდი პრობლემაა იმ ფონზე, როდესაც ხალხს სავსებით არა აქვს საშუალება არამც თუ გამოხატოს თავისი აზრი, არამედ მოისმინოს რეალური ინფორმაცია. უყუროს ისეთ გადაცემებს, რომლებიც არ იქნება მონოპოლიზებული იმ ხალხის მიერ, ვინც დასავლეთს წარმოაჩენენ, როგორც მახინჯი მსოფლმხედველობის ბუდეს, ებრძვიან ყოველგვარ ქართულს, ჭეშმარიტს, ხელოვნურად აღვივებენ საზოგადოებაში წინააღმდეგობას და ე.წ. რუსული პროპაგანდის სახით ქმნიან უაზრო მტრის ხატს.



გასაგებია, რომ უმთავრესი დასაყრდენი ის ფინანსებია, რაც ამ კომპანიას სხვადასხვა წყაროებიდან საკმაოდ უხვად აქვს, მაგრამ ყველაზე დიდი პრობლემა ის ხალხია, რომლებიც ვითომდა „პრადვინუტობენ“ და ხშირ შემთხვევაში ღალატობენ თავიანთ ნამდვილ მე-ს. ღალატობენ და ქართველების ლანძღვით აჩვენებენ „პრადვინუტობას“. ასეთ ხალხს პირდაპირ ვეტყვი: ნუ იქნებით ნინია კაკაბაძეზე მეტი ნინიები. მაინც არსად არ დაგნიშნავენ და არც გრანტს მოგცემენ. ყველა ადგილი უკვე კაი ხანია, დაკავებულია და არ გირჩევთ, რომ აღდგომას, ან ახალ წელს მაკდონალდსში შეხვდეთ, რადგანაც აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ, რომ სახლში რომ მიხვალთ, სამ შამფურ მწვადს ისე გახრავთ და ორლიტრიან ყანწს ისე ჩაიცლით, რომ თვალსაც არ დაახამხამებთ.

საგულისყუროა მათი ფსიქოლოგია, თუ რაში სჭირდებათ ასე მოქცევა? ისინი ხომ არც კლუბებში დადიან და, მით უმეტეს, არანაირ „ციტრამონს“ არ სვამენ. მაქსიმუმ ცხოვრებაში ერთი ნაფაზი პლანი ჰქონდეთ მოწეული და ხანდახან იმ „განცდებს“ იხსენებენ. ჩემი აზრით, სწორედ ამ ხალხზე უნდა გაკეთდეს აქცენტი და მათზე ზემოქმედების ყველაზე კარგი საშუალება, მათი „პრადვინუტობის“ გაბიაბურება (არის მეთოდები).

ძალიან საფრთხილო საქმეა წინააღმდეგობის გაწევა. ძალიან საფრთხილო, რადგანაც „რ2“-ზე არის რამდენიმე გადაცემა, რომლებიც თავიანთი ფორმატით, წამყვანებით, ჟურნალისტებითა თუ სიუჟეტების ხარისხით, დღეს საქართველოში ცუდი არ ეთქმის, მაგრამ ამავდროულად ვხვდებით ისეთ საშინელებებს, რომლებიც არამცთუ გამაღიზიანებელი, არამედ თამამად შეიძლება თქმა, რომ პროვოკაციულია.

გახმიანდა მოწოდებები – ბოიკოტი გამოვუცხადოთ იმ კომპანიებს, რომლებსაც „რ2“-ზე რეკლამა მიაქვთ.

საგულისხმო მოსაზრებაა, მაგრამ ნაწილობრივ გასაგებია იმ ბიზნესმენების პოზიცია, რომლებსაც „რ2“-ში რეკლამა მიაქვთ. აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ, რომ მათი კომპანიების პიარ-მენეჯერების უმრავლესობა ის „პრადვინუტი გოგოშკებია“, რომლებსაც კოპი-პეისტით გადმოაქვთ იმ რაღაც რეიტინგების დამთვლელი ორგანიზაციის მონაცემები და უფროსობასთან მიაქვთ. არადა, დარწმუნებული ვარ, რომ ისინი არც „არჩევანს“ უყურებენ და არც ხალხის სიდუხჭირეზე გასულ სიუჟეტებს, თორემ რომელი ბიზნესმენი განათავსებს ბედნიერი ოჯახის მიერ შეძენილი ნივთის შესახებ რეკლამას, იმ სიუჟეტის შემდეგ, სადაც დაქცეულ და გაუბედურებულ ქვეყანაზე ქოშინით ყვებიან.

როცა ვუყურებ, თუ როგორი გავეშებით ებრძვიან ე.წ. არასამთავრობოები, ტიპები, რომლებსაც კედელზე რაღაც გაურკვეველი წარმოშობის სერტიფიკატები აქვთ მიკრული, უჯიშო, უსქესო, ურწმუნო ხალხი ყოველგვარ ქართულს, მახსენდება ნაწყვეტი გრიგოლ რობაქიძის რომანიდან „ჩაკლული სული“:

**„პოლტავის თუ ვორონეჟის გუბერნიაში რევოლუცია მძვინვარებდა. მთელი სოფელი, განურჩევლად ყველა, დიდი და პატარა, კაცი და ქალი, აღმდგარიყო და ჯოხებით, კომბლებით, ცულებით, ბარებით, იარაღით ერთი მემამულის სახლს თავს დასხმოდა. ეს უკანასკნელი თავისი ოჯახით უკვე გახიზნულიყო. გაბოროტებული გლეხები სასახლეში შეიჭრნენ და რბევა დაიწყეს. რაც ხელში ხვდებოდათ,ყველაფერს ანადგურებდნენ. ყოველი ნივთი მათს მრისხანებას აღვიძებდა. უცნაურია, მხოლოდ ცოტამ თუ აიღო ძვირფასი ნივთები თავისთვის; ცოფმორეულნი განადგურების ჟინს შეეპყრო უპირატესად. გლეხების ერთი ჯგუფი თავლისკენ გაემართა. კარი ჩამოგლიჯეს და შიგ შეცვივდნენ; ცხენები დაფრთხნენ. ოცამდე ცხენი გამოიყვანეს; მათგან ერთი განსაკუთრებით გამოირჩეოდა: მთლად თეთრი, ლაქების გარეშე, კოხტა, ნატიფძარღვიანი. მისი ყოველი ასო მიწის სიხარული იყო, ყოველი კუნთი - განხორციელებული მზის ტალღა, მისი თვალები ცეცხლს აფრქვევდნენ. გლეხებს თვალები აემღვრათ, ერთ ხანს გაშეშდნენ მისი მშვენებით. ერთმა აღვირით თავისკენ მოქაჩა ცხენი. ცხენი ყალყზე შეხვდა ხეპრულ საქციელს. ბრბო ავისმომასწავებლად გაირინდა, უეცრად ვიღაცამ დაიყვირა გახელებით, „ჯიშიანია!“. მესამემ, მეოთხემ, მეხუთემ გაიმეორეს ეს სიტყვა. ბოლოს მთელი მასა უთავბოლოდ ღრიალებდა: „ჯიშიანია, ჯიშიანიო!“ შური და რისხვა გამოყმუოდა ამ შეძახილში. აბობოქრებული მასა წინ გაიჭრა, თუმცა არ იცოდა, რა სურდა. ხელები ამოძრავდნენ, ბაგეებს მიეყინა შეძახილი, ტუჩების კუთხეში დუჟი აქაფდა, თითქო ბრბო რაღაცას ელისო, უეცრად ცხენმა გველცემულივით დაიჭიხვინა უცნაურად, ყალყზე შედგა, ადგილიდან მოწყდა და გაჭენდა. გლეხები გაეკიდნენ, ცოფისაგან გონებადაბინდულნი. ცხენი გრძნობდა, რომ სიკვდილი მოსდევდა, გიჟივით მიქროდა. ღობესთან მიიმწყვდიეს და ალყა შემოარტყეს. ცხენი ნახტომისთვის მოემზადა, მაგრამ სწორედ ამ დროს ვიღაცამ აღვირს ხელი ჩაავლო; ცხენი შეშინდა, წინა ფეხებით ღობეზე ჩამოეკიდა. ცხოველს მთელი ტანი უთრთოდა. როყიოდ დაიყვირა ერთმა: „ტყავი გავაძროთ წყეულ პირუტყვს.“ პირველს მეორე აჰყვა. „ტყავი გავაძროთ!“ მრავალი ხმა ღრიალებდა ერთმანეთში არეული. ბოლოს ყველამ ერთად დაიყვირა: „ტყავი გავაძროთ!“ ბრბო ყმუოდა; შიში და სიძულვილი მოისმოდა ამ გაშმაგებულ ღრიანცელიდან. ელვის სისწრაფით გააჩინეს დანები, ცელები, ნამგლები. ხელები თითქოს სიგიჟეში იმყოფებოდნენ. „ჯიშიანი, ჯიშიანი!“ თავიდან აყმუვლდა ბრბო, აყმუვლდა ისე ყურისწაღებამდე, თითქოს რაღაცისა ეშინია და ამ უცხო ყმუილში გამოგუდვას ლამობსო“.**

არ გამოგივათ ტროცკის სულიერო შთამომავლებო, ეგ საქმე. შანსი არ არის, რომ ბოლომდე მიხვიდეთ!

არ გამოგივათ თქვენი შინაგანი კომპლექსებისა და ბოღმის გავრცელება.



დღეს დიდი დღესასწაულია. ჩვენი თავისუფლების აღდგენის ზეიმი, მაგრამ ეს ჯერ სრული თავისუფლება არ არის. ნამდვილი საქართველო კი მაშინ გვექნება, როცა ამ არამზადებისგან გავხდებით თავისუფალნი.

**გია გაბრიჭიძე**

## „პატრიოტების“ ბოიკოტი „რ2“-ს, დავით თარხან-მოურავი ამჟამად ათონზე იმყოფება...

**„საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“ სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი-2“-ს ბოიკოტს უცხადებს. ამის შესახებ განცხადებას პარტიის ლიდერი ირმა ინაშვილი ავრცელებს და „ფეისბუქის“ საკუთარ გვერდზე წერს, რომ პარტია სრულად იზიარებს საქართველოს საპატრიარქოს მიერ გავრცელებულ განცხადებას.**

**„საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“ სრულად ეთანხმება 2018 წლის 24 მაისს საპატრიარქოს მიერ გავრცელებულ განცხადებას. ჩვენ ვიზიარებთ ამ განცხადების სულისკვეთებას. ჩვენი პარტიის თავმჯდომარე დავით თარხან-მოურავი ამჟამად ათონზე იმყოფება. ჰქონდა შეხვედრა ვატოპედის მონასტრის წინამძღოლთან, მამა ეფრემთან. ამ მოკლე პოსტს სწორედ ბატონ დავითთან შეთანხმებით ვავრცელებ. ჩვენ ვიმოქმედებთ ჩვენი რწმენის, ჩვენი ეკლესიისა და ჩვენი ერის ინტერესების დასაცავად. „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ არც ერთი წევრი ინტერვიუს არ მისცემს „რუსთავი-2“-ს. გაცილებით ვრცელ კომენტარს მოგვიანებით გაგიზიარებთ,“ – წერს ირმა ინაშვილი.**



100 წელი
საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის დაარსებიდან

# დამოუკიდებლობის მზის ამობრწყინება

**შესრულდა ასი წელი იმ დღიდან, როდესაც ქართველმა პოლიტიკოსებმა, სოციალ-დემოკრატების თაოსნობით დამოუკიდებლობა გამოაცხადეს. ეს იყო საქართველოს სამიათასწლოვანი ისტორიის მანძილზე პირველი ნაციონალური, დემოკრატიული სახელმწიფო.**

**გამოჩენილი თეორეტიკოსები იმდროინდელ (1918 — 1921 წ.წ.) ქართულ სახელმწიფოს მსოფლიოში დემოკრატიის ოაზისს უწოდებდნენ და აღიარებდნენ იმასაც, რომ საქართველოს მიბაძვით შემდგომში ევროპის ზოგმა ხალხმა მსგავსი სახელმწიფოების ჩამოყალიბება დაიწყო.**

მართალია, დამოუკიდებელმა საქართველომ სამი წელი იარსება, მაგრამ ამ დროს ქართველებისთვის მცირე ოქროს ხანად მოიხსენიებენ. გაზეთის მრავალი გვერდი დასჭირდება იმას, რაც იმჟამინდელი საქართველოს და მისი ხელმძღვანელობისადმი საქებარი სიტყვები გამოითქვა. საზღვარგარეთ გვიქებენ ჩვენებურებს, ჩვენ კი მათ საქართველოს არაკეთილმოსურნეებად მოვიხსენიებთ. რატომ ხდება ფაქტების ამგვარი გაუკუღმართება? — ჩემი აზრით, ყველაფერ ამის მიზეზია უპირველესად კუთხურობის უკიდურესი გამოვლენა. აგრეთვე ბოლშევიკების მკვეთრი დაპირისპირება მენშევიკური მთავრობისადმი. ეს დამოკიდებულება, ასე ვთქვათ, ინერციით გადმოჰყვა აწმყო დროსაც.

საქართველოში არიან ადამიანები, თანაც არც ისე ცოტა, რომელთაც სურთ 1918 წლის დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობა იმდენად დააკნინონ, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად აღდგენილი დამოუკიდებლობისდროინდელი მთავრობა მასზე წინ დააყენონ.

ამ თემას არ ჩავუღრმავდები, ვინაიდან ეს სტატია სხვა საკითხის გაანალიზებისთვის არის გამიზნული, მაგრამ ერთ მნიშვნელოვან მოვლენას მაინც აღვნიშნავ.

ზემოხსენებული ადამიანები, იმისთვის, რომ ჟორდანიას მთავრობა დაამცირონ, გვიმტკიცებენ, თითქოს მან „ხონჩით მირთმეული დამოუკიდებლობა ქარს გაატანა". ჯერ ერთი, საზოგადოების განვითარების კანონები ასე გვმოძღვრავენ: ყველაფერს განაპირობებენ უსასრულო ობიექტური ფაქტორები, ადამიანებს და ადამიანთა ჯგუფს იმ ზომის წვლილის შეტანა შეუძლია მის განვითარებაში, რა თანაფარდობაშიც არის უსასრულო სიდიდე სასრულოსთან. ვინც საზოგადოებრივი განვითარების ამ კანონს უარყოფს, ის ვოლუნტარისტია. ჩანს, ქართველი პოლიტიკოსები არ ზრუნავენ პოლიტიკურ მიმდინარეობათა თეორიების ცოდნის შეძენისთვის.

მთავარია, საერთო მდინარებას ფეხი აუწყო და სასურველ შედეგს მიაღწიო. სწორედ იმჟამინდელი ხელისუფლების დამსახურებაც არის იმაში, რომ შექმნილ ვითარებას ალღო აუღო და სწორი ნაბიჯების გადადგმით, ქვეყანას დამოუკიდებლობა მოაპოვებინა. რაც შეეხება დამოუკიდებლობის დაკარგვას. ჟორდანიას მთავრობამ ყველა აგრესია მოიგერია, მაგრამ ვეებერთელა რუსეთის შემოტევას ვერ გაუძლო. გაიკვირვებთ, როცა არქივებში შემონახულ პროტოკოლებს და ოქმებს გაეცნობით: რამდენ საერთაშორისო ფორუმებში, მოლაპარაკებებსა და კონფერენციებში მიუღია მაშინდელ ხელისუფლებას მონაწილეობა და ყველაფრისთვის თავი ღირსეულად გაურთმევია.

ცნობილი ექსპერტების აზრით, საქართველოს მთავრობა ყველაზე განათლებული იყო მანამდე არსებულ საქართველოს ყველა მთავრობაზე. ეს სრული ჭეშმარიტებაა. მაშინდელი მთავრობის წევრებმა სულიერი წრთობა მიიღეს ურალის, ციმბირისა და შორეული აღმოსავლეთის ციხეებსა და კატორღებში, ხოლო განათლება — რუსეთისა და დასავლეთ ევროპის უმაღლეს სასწავლებლებში.

იმდროინდელი ჩვენი პოლიტიკოსები, რომ იტყვიან, ტოლს არ უდებდნენ პეტერბურგისა და მოსკოვის პოლიტიკოსებს, ხოლო რეგიონში (მხედველობაში მაქვს კავკასიის და სამხრეთის ქვეყნები) უდავოდ უკონკურენტონი იყვნენ.

ყველაფერს ამას ზოგიერთი უარყოფს. დასცინის ჟორდანიას მთავრობას — საზღვარგარეთ გაიქცა და ხელისუფლება ნებაყოფლობით ჩააბარა ბოლშევიკებს, ვინაიდან ბოლშევიკები და მენშევიკები განუყრელი მეგობრები იყვნენო. ალბათ, ისტორიაში გაუცნობიერებელნი საზღვარგარეთ მყოფი ჟორდანიას მთავრობის ოპოზიციის მოსაზრებებს ეყრდნობა. როგორც შემდგომში გამოაშკარავდა, ოპოზიციის ბევრი წევრი ბერიას აგენტად იქცა. ბერიას დავალებით, მათ აგენტურულ საქმიანობაში შედიოდა ჟორდანიას მთავრობის თითოეულ წევრზე ცილისმწამებლური ჭორების შეთხზვა. სწორედ მათი ნამოქმედარია გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწის ნოე რამიშვილის მკვლელობა, კარლო ჩხეიძეს მათმა ულირსმა საქციელმა მოაკვლევინა თავი.

მათდაგვარების ნაბოდვარი, თითქოს ჟორდანია ძლივს დაითანხმეს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებაზე, მტკნარი სიცრუეა. მას მიაჩნდა, რომ ამიერკავკასიის ხალხთა ერთობა თუ შეძლებდა რუსეთის მოგერიებას. იგი სიცოცხლის ბოლომდე კავკასიის კონფედერაციის შექმნის მომხრე დარჩა, მაგრამ ვითარება ისეთი შეიქმნა, რომ აუცილებლობამ მოითხოვა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება, ამიტომ ჟორდანია და ჩხენკელი ყელგამოწეული ეხვეწებოდნენ ჯარისკაცთა და მშრომელთა კომიტეტს (მაშინ მას ჯერ კიდევ დიდი ავტორიტეტი ჰქონდა), რომ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისთვის მხარი დაეჭირა.

„დიდი" პოლიტიკოსი უსუფაშვილი ყოველ ცისმარე დღეს, პარლამენტის სხდომის გახსნის წინ, პარლამენტის წევრებს ასე მოძღვრავდა: ჩვენ ვგმობთ მახარაძის გზას და ერთგული მიმდევარი ვართ ილიას გზისო, თუმცა არც ერთ დასახელებულ „გზაზე" მას წარმოდგენა არ აქვს. უსუფაშვილისა და სხვა მისნაირი „პოლიტიკოსების" საყურადღებოდ დავასახელებ საქართველოს სახელმწიფოებრივი მოწყობის შემდეგ იდეებს: **ჟორდანიას იდეა — საქართველოს დამოუკიდებლობა, ან გაერთიანება კავკასიის კონფედერაციაში (კავკასიური სახლი) პოლიტიკური წყობით — რეალობის შესატყვისი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ფორმაცია... მახარაძის იდეა: საქართველოს გაერთიანება ყოფილ რუსეთში შემავალი ერების კონფედერაციაში, პოლიტიკური წყობით — ევროპული გაგების სოციალიზმი**.

როგორც ცნობილია, კაცობრიობის მოწინავე ნაწილი ესწრაფოდა რუსეთის იმპერიის დაშლას, თვით რუსი ინტელიგენცია მოწადინებული იყო, როგორმე იმპერატორი ტახტიდან ჩამოეგდოთ, ხოლო იმპერიაში შემავალი ერები მზად იყვნენ ამბოხებისთვის, რათა დამოუკიდებლობა მოეპოვებინათ.

აი, რას ამბობს დავით სარაჯიშვილი: „ქართული ბურჟუაზია არ არსებობს, იყოს ჩემნაირი ასიოდე ქართველი — შევადგენდით საზოგადოებას და ავიღებდით ჩვენს თავზე პასუხისმგებლობას, ვუმეთაურებდით საქართველოს... ახლა კი ქვეყანას ასეთი პატრონი არ ჰყავს, თავადაზნაურობა მიდის, მისი მეთაურობა არ გამოდგება. წინამძღოლის როლში ვერავის ვხედავ, გარდა სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციებისა. ხალხი მათი მეშვეობით სწავლობს ერთობას, ერთად დგომას და ბრძოლას — ამიტომ მე ნოე ჟორდანიას და მის თანამებრძოლებს დავეხმარები.

ჩვენს მეთაურ ინტელიგენციას ილიას, ცხვედაძეს და სხვებს ეს ვერაფრით გავაგებინეთ, მუდამ მსაყვედურობენ ამის გამო"...

ქართველი ხალხისგან ათვალწუნებული სოციალ-დემოკრატები და მათი ხელმძღვანელი ნოე ჟორდანია 1893 წელს წერენ: „თუ ინდივიდი უნდა იყოს თავისუფალი, საზოგადოება უნდა იყოს თავისუფალი, რატომ არ უნდა იყოს თავისუფალი ერი, რატომ არ უნდა ჰქონდეს მას საკუთარი სახელმწიფო?"

1910 წელს საიდუმლოდ შეიკრიბნენ სოციალ-დემოკრატები (იგულისხმება ის ფრთა, რომელსაც ნოე ჟორდანია ხელმძღვანელობდა) და შეიმუშავეს ასეთი გეგმა; „ვინაიდან რუსეთის იმპერია შინაგანად იხრწნება, გარდაუვალია მისი დაშლა. ამისთვის ჩვენ მზად უნდა ვიყოთ და საქართველოს დამოუკიდებლობა გამოვაცხადოთ, მაგრამ მასების მისამხრობად აგრეთვე სოციალური საკითხებიც პირველ რიგში დავაყენოთ. ასე ამგვარად, სოციალ-დემოკრატიამ, დაშვებული ზოგი შეცდომის მიუხედავად, ძირითადად სწორი ტაქტიკური ნაბიჯების გადადგმით, შეასრულა სტრატეგიული ამოცანა — საქართველოს დამოუკიდებლობა მოაპოვებინა.

რაც შეეხება მახარაძის „გზას". მართალია, დამოუკიდებელმა საქართველომ სამი წელიწადი იარსება, მაგრამ იმდროინდელი ვითარების გამო, მან შეწყვიტა არსებობა. ერის არსებობისთვის კი საჭირო იყო, გამოენახათ ისეთი გზა, რაც რეალობისთვის შესატყვისი იქნებოდა. ვიტყოდი, ასეთი იდეის მატარებელნი იყვნენ ეგრეთ წოდებული ნაციონალ-უკლონისტები ფილიპე მახარაძის მეთაურობით. საქართველოში წითელი არმიის შემოსვლას სწორედ მან ბოროტება და დაპყრობა უწოდა; ნაციონალ-უკლონისტებმა გამოსტაცეს კრემლს კონფედერაციული სახელმწიფოს მთავარი ატრიბუტი — საკუთარი არმიის ყოლა, ხოლო, როცა საქართველოს ხელისუფლებაზე ზეწოლა გაძლიერდა, 1922 წელს საქართველოს ნაციონალ-უკლონისტური მთავრობა გადადგა. ეს იყო უპრეცედენტო შემთხვევა საბჭოთა კავშირის არსებობის ისტორიაში. 1924 წლის აჯანყების მონაწილეთა დახვრეტით თავზარდაცემულმა მახარაძემ სასტიკად დაგმო სტალინისა და ბერიას ქმედება, მაშინ როცა ქართველი ერის „საყვარელი შვილები", გამოჩენილი მწერლები და ისტორიკოსები დუმდნენ, მეტიც, გუნდრუკს უკმევდნენ ჯალათ ბოლშევიკებს.

ნაციონალ-უკლონისტებმა ამცნეს მსოფლიო საზოგადოებას ორთოდოქსი ბოლშევიკების შავბნელი საქმიანობის შესახებ. ყველაფერ ამისთვის ნაციონალ-უკლონისტები ფიზიკურად ლიკვიდირებული იქნენ.

**ვაჟა ჟღენტი,**
**საბჭოთა პერიოდის საქართველოს პოლიტპატიმართა გაერთიანების თავმჯდომარე.**

(დასასრული შემდეგ ნომერში)

## დღეს სამეგრელოში დიდი ზეიმია

**შინაგან საქმეთა სამინისტრო საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის დაარსების 100 წლისთავისადმი მიძღვნილ ღონისძიებებს ქალაქ ზუგდიდში, თავისუფლების მოედანზე გამართავს. საზეიმო ღონისძიებები 11 საათზე დაიწყება.**

**ზუგდიდში თავისუფლების მოედანი 3 ფუნქციურ ზონად დაიყოფა. ერთ-ერთი მათგანი საქართველოს 100 წლის ისტორიას გააცოცხლებს. აღნიშნულ ზონაში მოეწყობა მუზეუმი, სადაც განთავსდება როგორც ისტორიული ექსპონატები, ასევე, შინაგან საქმეთა სამინისტროში მიმდინარე და დაგეგმილი რეფორმების ამსახველი პრეზენტაციები.**

**ღონისძიების ფარგლებში, შინაგან საქმეთა სამინისტრო სხვადასხვა ქვედანაყოფის აღჭურვილობისა და ტექნიკის გამოფენას წარმოადგენს. ასევე, ჩატარდება კინოჩვენებები, სხვადასხვა სახის შემეცნებით-გასართობი აქტივობები და დაჯილდოებები. დღის განმავლობაში გაიმართება კონცერტი, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ ცნობილი ქართველი შემსრულებლები.**

## ალიევმა 634 პატიმარი შეიწყალა, მათ შორისაა საქართველოს 11 მოქალაქე

**აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბლიკის 100 წლისთავთან დაკავშირებით, აზერბაიჯანის პრეზიდენტმა 634 პატიმარი შეიწყალა. შეწყალებულებს შორის არის საქართველოს 11 მოქალაქე.**

**ილჰამ ალიევმა შეწყალების შესახებ განკარგულებას პარასკევს მოაწერა ხელი.**

**საქართველოს მოქალაქეების გარდა, შეწყალებულთა შორის არიან სხვა ქვეყნების მოქალაქეებიც — 5 ჩინეთის, 4-4 რუსეთისა და ირანის, 3-3 თურქეთისა და ბანგლადეშის, 2-2 თურქმენეთისა და ყაზახეთის, ასევე უზბეკეთის, კამერუნის, ინდოეთის, ავღანეთისა და უკრაინის მოქალაქეები.**

**ილჰამ ალიევმა 12 ოპოზიციონერიც შეიწყალა.**

**აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბლიკის 100 წლისთავი 28 მაისს აღინიშნება.**

# ასე ამბობდა უინსტონ ჩერჩილი



## „მე არასოდეს! არასოდეს! არასოდეს არ დავნებდები!“

ქართულად გადმოაქნა გურამ გოგიაშვილმა

## სერ უინსტონ სპენსერ ჩერჩილი - სტალინის გარდაცვალების შემდეგ წერდა...

**როგორც** გველთევზები ვერცრა წინააღმდეგობას ვერ ეწევიან, როცა ქილავენ, პოლიტიკოსებიც ხმას ვერ იღებენ, ეჩვევიან კარიკატურათა პერსონაჟობას.

* * *

**დიპლომატია** ის არის, როცა წმინდა წყლის სიმართლეს ისე ამბობ, რომ არცვის არა აწყენინო რა...

* * *

**როგორც** არ უნდა განსხვავდებოდეს ჩვენი პოლიტიკური მრწამსი თქვენი პოლიტიკური მრწამსისგან, რაც არ უნდა დიდი იყოს ჩვენი პარტიული მიზნების შეუთანხმებლობა და სხვადასხვაობა, რაც არ უნდა სხვადასგვარი იყვეს ჩვენი მოწოდება და საზოგადოებრივი მდგომარეობა, ჩვენ ერთი რამ გვამსგავსებს ერთმანეთს: ჩვენ განზრახული გვაქვს ჩვენი კუნძულის დაცვა ტირანიისა და აგრესიისგან.

* * *

**თუ** პოლიტიკას ეწევი, ეს იგივეა, დილაობით რომ იღვიძებ და არ იცი, ვის თავს იპოვი ბალიშზე.

* * *

**უკეთუ** უფალი გადაწყვეტდა სამყაროს ხელახლა შექმნას, შესაქმეს და რჩევას მკითხავდა, მე შევთავაზებდი, რომ ყველა ქვეყნისთვის გარს შემოევლო ლამანშები და ისე გაერიგებინა საქმე, თუ რამე ფრენას ცდილობს, ყველაფერი დაუყოვნებლივ დამწვარიყო.

* * *

**დაიხსომეთ,** რომ ერთი სახელმწიფოს ყოფილ პრემიერ-მინისტრს მეორე სახელმწიფოს საპატიო მოქალაქედ ხდიან.

**დიქტატორები ვეფხვებზე არიან ამხადრებულნი და ჩამოხდომისა ეშინიათ. ამასობაში კი ვეფხვებს საშინლად შივდებათ.**



* * *

**დემოკრატია** ის არის, როცა ადამიანს ეკითხებიან — „წინააღმდეგი ხომ არ იქნებით, ხვალ თუ თავს მოგაჭრიან?“ და პასუხად გაიგონებენ: — „არა, წინააღმდეგი არ ვიქნებიო“, და მეორე დღესვე ეგრევე თავს წააცლიან.

* * *

**ნაციონალიზმი** არამზადების უკანასკნელი თავშესაფარია.

* * *

**პოლიტიკაში** შეცდომების ერთ-ერთი გავრცელებული მიზეზი მაღალი თანამდებობის ხელმძღვანელისთვის სწორედ იმის მოხსენების ცდუნებაა, რის გაგონებაც იმას ყველაზე მეტად უნდოდა. ამგვარად, ლიდერს, ვის გადაწყვეტილებელზეც არის დამოკიდებული მოვლენათა შემდგომი განვითარება, ვითარება ბევრად უფრო ოპტიმისტური ეჩვენება, ვიდრე სინამდვილეშია, უხეში ფაქტებით განპირობებული.

* * *

**თუ** ქვეყანა ომისა და შერცხვენის არჩევნის წინაშეა და შერცხვენას ირჩევს, ის ვერც ომს აიცილებს და ვერც შერცხვენას.

* * *

**ჩემს** ქვეყანაში ხელისუფლების წარმომადგენლები იმით ამაყობენ, რომ ვითომ სახელმწიფოს მსახურნი არიან, რადგან სახელმწიფოს ბატონ-პატრონად ყოფნა სირცხვილად ითვლება.

* * *

**ბულდოგთა** ჭიდილი ხალიჩის ქვეშ.

* * *

**დემოკრატია** მმართველობის ყოვლის უარესი ფორმაა, თუ ყველა დანარჩენს არ ჩავთვლით.

* * *

**სახელმწიფოს** რეპუტაცია ყველაზე უფრო იმ თანხით განისაზღვრება, რისვალად აღებაც იმას ხელეწიფება.

* * *

**სკოლის** მასწავლებლები ისეთ ძალაუფლებას ფლობენ, რა ძალაუფლებაზეც პრემიერ-მინისტრებს მხოლოდ ოცნება ძალუძთ.

* * *

**ჩერჩილი** დარწმუნებული იყო ამოუცნობი მფრინავი ობიექტების არსებობაში. მან მითითება მისცა ბრიტანეთის სამხედრო-საჰაერო ძალებს 50 წლით მაინც დაემალათ საზოგადოებისთვის მეორე მსოფლიო ომის დროს ბრიტანეთის თვითმფრინავის ამოუცნობ მფრინავ აპარატთან შეხვედრის ფაქტი. ამით იგი „მასობრივი პანიკის“ თავიდან აცილებას ცდილობდა. ამას ამტკიცებენ დიდი ბრიტანეთის ნაციონალურ არქივებში დაცული და ახლა უკვე გახსნილი დოკუმენტები — სულ საააშკარაოზე გამოტანილია 18 საქმე, საქმეებში ჩაკერებულია მოხსენებები, წერილები და ნახატები, აგრეთვე პარლამენტის სხდომების სტენოგრამები — სულ 5000 გვერდზე მეტი.

1999 წელს ქალაქ ლესტერის (ინგლისი) მცხოვრებმა, რომელმაც თავისი გვარი არ დაასახელა, განაცხადა, პაპაჩემი ომის დროს პრემიერ-მინისტრის დაცვაში მუშაობდა და იმავდროულად მსახურობდა ბრიტანეთის სამხედრო საჰაერო ძალებშიო. ეს ადამიანი ესწრებოდა ამერიკელი გენერლის — დუაიტ ეიზენჰაუერის შეხვედრას ჩერჩილთან და თავისი ყურით მოისმინა ჩერჩილის მოთხოვნა, გაესაიდუმლოებინათ ამოუცნობ ობიექტთან საჰაერო ინციდენტის შესახებ მოხსენება და ყველა მონაცემი, „ვინაიდან, ამან შეიძლება რომ მოსახლეობაში პანიკა გამოიწვიოს და ეკლესიისადმი რწმენა შეარყიოს“. ლაპარაკი იყო ამბავზე, რომელიც ერთ-ერთ მფრინავ-მზვერავს შეემთხვა — დავალებიდან დაბრუნებისას გერმანიისა თუ საფრანგეთის საჰაერო სივრცეში. ის ამოუცნობ მფრინავ ობიექტს შეხვდა.

* * *

**ერთხელ** ჩერჩილი ავტომობილით მგზავრობდა და მხარი ექცა. ჩერჩილმა გამვლელს ჰკითხა:

— მაპატიეთ, სერ, ხომ ვერ ამიხსნიდით სადა ვარ?

— ავტომობილში, ბატონო, — თავდაჭერილად მიუგო გამვლელმა და თავის გზას გაუყვა.

— აი, პასუხი, თემთა პალატის ღირსი, — უთხრა ჩერჩილმა მძღოლს. — მოკლედ, უდიერს და არცრას ისეთს არ შეიცავს, რაც არ შეიძლება რომ შემკითხველმა არ იცოდეს.

* * *

**ჰიტილერმა** იგულმავიწყა რუსული ზამთარი, განათლებას, როგორც ჩანს, ვერ დაიკვეხნის. სკოლაში ყველას გაგონილი გვაქვს რუსული ზამთრის ამბავი, მაგას კი აღარ ახსოვს. ესოდენ უხეში შეცდომა ჩემს ცხოვრებაში ერთხელაც არ ჩამიდენია.

* * *

**იქნებ** უცნაურადაც გვეჩვენოს, მაგრამ ჰიტლერი სტალინს „გენიალურ ტიპს“ უწოდებდა.

## ფილოსოფიური გამოთქმანი

### ...თითოეული ისერიგად ღრმაზროვანი, რომ ყოველ მკითხველს მართებს დამოუკიდებლად გადაწყვეტა, მაინც რას ნიშნავენ ისინი

* * *

**საბედნიეროდ,** ცხოვრება ჯერეთ კიდევ მეტისმეტად უშფოთველი არ არის, თორემ გზას აკვნიდან სამარემდე ბევრად ჩქარა გავივლიდით.

* * *

**სასამართლოს** საჩვენო გადაწყვეტილება ყოელთვის კარგია, მაშინაც კი, თუ უსამართლოა.

* * *

**ჯერეთ** კიდევ კარგა ხნის წინათ დავრწმუნდი, თუ რა უზარმაზარ და უდავოდ კეთილისმყოფელ როლს თამაშობს ყალთაბანდობა დიდი ხალხების საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

* * *

**პატრიოტს** უნდა შეეძლოს თავის თავში არა მარტო შიშის, არამედ, რაც უფრო ძნელია, შემოწოლილი სევდის დაძლევა.

* * *

**კეთილშობილი** სულები მუდამ სიამოვნებით გადადიან ჩრდილში და მერე — სულეთში.

* * *

**მეცნიერება** თავის გონიერ თავს ინფერნალურ, ანუ ჯოჯოხეთურ, გამოგონებათა, ნეხვის გროვაში სჩრის.

* * *

**ღირსება** არამც არ მოიმატებს, უკეთუ ფეხს დაადგამთ.

* * *

**ცხოვრება** იმით გაგვაქვს, რაც გვაქვს, მაგრამ ცხორვებას იმით ვქმნით, რასაც გავცემთ.

* * *

**ყველაფერი** იცვლება, იცვლებიან ადამიანები, იცვლებიან ვითარებანი, იცვლება თვითონ ცხოვრება და თითქოს ყველაფერი რიგზეა, მაგრამ ხან აგრერიგად გვაკლია ძველი ის ცხოვრება, გვაკლიან ის ადამიანები.

* * *

**საქმე** ასაკში კი არა, ურთიერთობის კულტურაში და ინტელექტუალური განვითარების დონეშია.

* * *

**შენგან** ქმნილი შენვე დაგიბრუნდება.

* * *

**ბევრად** ადვილია ცხოვრება უარყოფაში, ამას იმიტომ ვშვრებით, რათა თავი დავიცვათ იმისგან, რის ცოდნაც არ გვესურვილება.

* * *

**სიმართლე** უდავოა, მხოლოდ ბოლმა თუ მოსცხებს ჩირქს, უმეცრება თუ აიგდებს აბუჩად, მაგრამ ვადა რომ მოუვა, სიმართლეს ვერცრა ძალა ვერ დასწევს უკან, მეორე რიგში, და ვერც დაამახინჯებს.

* * *

**მსოფლიოს** მთელი ისტორია იმას მეტყველებს, რომ ძლიერი ქვეყანა მუდამ სამართლიანია, ხოლო თუ უნდა, რომ სამართლიანი გახდეს, მაშინ უკვე ძალა აღარა აქვს.

* * *

**ახალგაზრდობა** თავისუფლებასა და რეფორმებს ითხოვს, მოწიფულობა — გონივრულ კომპრომისს, სიბერე — სტაბილურობასა და სიმშვიდეს.

* * *

**როცა** ბედი დიდი მსახურებისკენ გვიხმობს, ძალასაც შესაბამისად დიდს გვაძლევს.

(გაგრძელება იქნება)



გაგრძელება. დასაწყისი იხ. №102-110

**მართლაც — როდის?**

# ხაბარელი შარშან და წელს



**2017 წლის 13 ივნისს საქართველოს პარლამენტის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტმა მოისმინა საქართველოს ძიუდოს ფედერაციის პრეზიდენტის დავით ქევხიშვილის მოხსენება, რომელიც მოიცავდა განვლილი სეზონის ანგარიშს და მომავალ გეგმებს. კომიტეტმა ერთსულოვნად მოიწონა ფედერაციის მიერ განხორციელებული საქმიანობა და დასახული პერსპექტივები. უფრო მეტიც, მან სხვა ფედერაციებს უსურვა, ისეთივე წარმატებულები ყოფილიყვნენ, როგორიც ძიუდოს ფედერაციაა და მას სამაგალითო უწოდა.**

აღნიშნულ სხდომას ესწრებოდა საქართველოს პარლამენტის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე და ძიუდოს ფედერაციის აღმასკომის წევრი შოთა ხაბარელი. ყველას გვახსოვს სიტყვა, რომელიც მან ძიუდოს ფედერაციის ანგარიშის მოსმენის შემდეგ წარმოთქვა კომიტეტის სხდომაზე.

ისმის კითხვა — როდის იყო ბატონი შოთა გულწრფელი: როდესაც ამ სიტყვას ამბობდა თუ ახლა, როცა ძიუდოს ფედერაციის მუშაობას უარყოფითად აფასებს? მის თანამდებობრივ კავშირებს თავი რომ დავანებოთ, ტატამის დიდოსტატი გახლავთ ძიუდოს ოჯახის ერთ-ერთი ავტორიტეტული ფიგურა და როგორც თავად არაერთხელ აღუნიშნავს, ის კარგადაა ჩახედული ჩვენი ძიუდოს შიდა სამზარეულოში, რაზეც არავინ დავობს. დასკვნები მკითხველისთვის მოგვინდვია.

**მანუჩარ გიორგაძე**

**სუმო**

# მაინც ფავორიტად რჩება

**გუშინ ნაცუ ბაშოს ტრადიციული ტურნირის მე-13 დღეს ლევან გორგაძემ პირველი მარცხი განიცადა.**

ტოჩინოშინის მეტოქე მეოთხე მაეგაშირა შოდაი იყო, რომელთანაც დადებითი ბალანსი 5:3-ზე ჰქონდა. ქართველმა სეკიტორმა რამდენჯერმე სცადა მავაშში ხელის ჩავლება, თუმცა, მასპინძელმა ახლოსაც არ მიუშვა. ბოლოს კი იაპონელმა ერთ-ერთი ასეთი მცდელობის დროს გამოიჭირა და ჰიკიოტოშით დასცა დოჰიოს.

მოგეხსენებათ, ჩვენმა თანამემამულემ წინა ტურში 40-გზის ჩემპიონ იოკუძუნა ჰაკუჰოს სძლია და ძალიან ახლოს არის იმპერატორთა თასის მოგებასთან. მისი მთავარი მდევარი ამჟამად იოკუძუნა კაკურიიო არის, რომელმაც თავისი ბრძოლა მოიგო და ლევან გორგაძეს გაუთანაბრდა. აღსანიშნავია ისიც, რომ სანამ სუმოს კომიტეტი შეიკრიბება, იაპონური ტელევიზიები ქართველს უკვე თამამად უწოდებენ „ოძეკს“ (იერარქიით რანგით მეორე წოდება), რაც აგრეთვე ძალიან დიდი წარმატებაა.

სადღეისოდ ლიდერთა ჯგუფი ასე გამოიყურება: ტოჩინოშინი — 12 მოგება, 1 მარცხი, იოკუძუნა კაკურიიო — 12 მოგება, 1 მარცხი, იოკუძუნა ჰაკუჰო — 11 მოგება, 2 მარცხი.

**რაც შეეხება რანგით მეორე ეშელონს,** გაგამარუს მეტოქე **ლიგის მერვე ნომერი ტერონოფუჯი იყო, რომელიც ქართველმა იორიკირით დაამარცხა. თეიმურაზ ჯუღელს ამ ბაშოზე 3 მოგება და 10 მარცხი აქვს, რაც ავტომატურად გამოიწვევს მისი მეორე ნომრობიდან ჩამოქვეითებას.**

დღეს ტოჩინოშინს ერთგვარად ფინალური ბრძოლა ელის, რადგან მისი მეტოქე მონღოლი



იოკუძუნა კაკურიოა, რომელთანაც ქართველს უარყოფითი ბალანსი 2:21 აქვს. თუმცა, აღსანიშნავია ისიც, რომ წინა ბაშოზე დაუმარცხებელ კაკურიოს ტრავმირებულმა ლევან გორგაძემ სძლია.

**კობა კობახიძე**

**კალათბურთი**

# „დინამოს“ შანსები გაიზარდა

**სუპერლიგის ფინალურ რაუნდში ანგარიში გათანაბრდა. ირაკლი ხოშტარიას გაწვრთნილმა „დინამო თბილისმა“ კოტე ტუღუშის „ქუთაისს“ სტუმრად 81:73 სძლია, საერთო შედეგი 1:1 გახადა და მოედნის უპირატესობა მოიპოვა.**

ფინალური სერიის პირველი მატჩის მსგავსად, აღნიშნული შეხვედრაც საკმაოდ დაძაბული გამოდგა და მისი ბედი ბოლო წუთზე გადაწყდა. „დინამო“ თითქმის მთელი მატჩის განმავლობაში იგებდა, მაგრამ ისე ვერა, რომ მშვიდად ყოფილიყო. ქუთაისელები საკუთარ მოედანზე საკმაოდ სახიფათონი არიან და თუ თამაში წაუვიდათ, სოლიდურ ჩამორჩენას მოკლე დროში აბათილებენ.



ამჯერად შეხვედრის დასრულებამდე 30 წამით ადრე, ლაველ ბოიდის საჯარიმოების შემდეგ, დინამოელთა უპირატესობამ 6 ქულას მიაღწია და მასპინძლები მარცხს საბოლოოდ შეეგუენ. სტუმართაგან 17-17 ქულით რეივენ ლი და კაელ ტურპინი გამოირჩნენ. 13 ქულა და 6 პასი ჩაიწერა აქტივში ლაველ ბოიდმა, ლევან გრძელიძის ანგარიშზე კი 11 ქულა დაგროვდა. „ქუთაისში“ 19 ქულით ბომბარდირი დეჟუან რაითი გახდა, 15 ქულა მიითვალა ჯონათან ლიმ, ხოლო აკაკი დვალიშვილისა და ბექა ბექაურის მონაგარმა 11-11 ქულა შეადგინა.

ფინალური სერია უკვე თბილისში ინაცვლებს, სადაც ოლიმპიურ სასახლეში ხვალ და ზეგ 16 საათზე მორიგი მატჩები გაიმართება.

**ვიტალი ჯაფარიძე**

**მოვლენის წინ**



# ისინი უკრაინაში ჩავიდნენ

**ჩემპიონთა ლიგის ფინალის წინ „ლივერპულისა“ და მადრიდის „რეალის“ მთავარმა მწვრთნელებმა იურგენ კლოპმა და ზინედინ ზიდანმა გაფართოებული შემადგენლობები დაასახელეს. აღნიშნული ინფორმაცია კლუბების ოფიციალურმა ვებ-გვერდებმა გაავრცელეს.**

**„ლივერპული“:** ლორის კარიუსი, ნათანიელ კლაინი, ვირჯილ ვან დეიკი, ჟორჟინიო ვეინალდუმი, დეიან ლოვრენი, ჯეიმს მილნერი, რობერტო ფირმინო, მოჰამედ სალაჰი, ჯორდან ჰენდერსონი, რაგნარ კლავანი, ალბერტო მორენო, სადიო მანე, ადამ ლალანა, სიმონ მინოლე, ემრე ჯანი, ენდრიუ რობერტსონი, დანი ინგსი, დომინიკ სოლანკე, ნათანიელ ფილიპსი, კიორტის ჯონსი, დენი უორდი, ბენჟამინ ბუდბიორნი, რაფაელ კამაშუ, ტრენტ ალექსანდერ-არნოლდი.

**„რეალი“**: კეილორ ნავასი, კიკო კასილია, ლუკა ზიდანი, დანიელ კარვახალი, ხესუს ვალიეხო, სერხიო რამოსი, რაფაელ ვარანი, ნაჩო ფერნანდესი, მარსელო, თეო ერნანდესი, აშრაფ ჰაკიმი, ტონი კროოსი, ლუკა მოდრიჩი, კაზემირო, მარკოს ლიორენტე, მარკო ასენსიო, ისკო, მატეო კოვაჩიჩი, დანიელ სებალიოსი, კრიშტიანუ რონალდუ, ქარიმ ბენზემა, გარეტ ბეილი, ლუკას ვასკესი, ბორხა მაიორალი.

ჩემპიონთა ლიგის ფინალი დღეს კიევში თბილისის დროით 22:45 საათზე დაიწყება და მას სერბი მსაჯი მილორად მაჟიჩი გაუძღვება.

**გიორგი შოთაძე**

**გვირგვინოსანი**

# ცზიუ ვენცზიუნი — მე-17 ჩემპიონი!

**ჩინეთის ქალაქები შანხაი და ჩუნცინი ამ დღეებში ქალთა შორის მსოფლიო ჩემპიონის ტიტულისათვის გამართულ მატჩს მასპინძლობდა. ერთმანეთს 2017 წლის მსოფლიოს ნოკაუტ- ჩემპიონატის გამარჯვებული ტან ჟუნი და 2016-2017 წლების ქალთა გრან პრის სერიის ლაურეატი ცზიუ ვენცზიუნი ეჯიბრებოდნენ, ორივე მათგანი მსოფლიოს ტოპ ათეულში იმყოფება, თუმცა, რადგან მსოფლიოს ყველაზე ძლიერი ქალი-მოჭადრაკე ჰოუ იფანი არ იბრძოდა ჩემპიონის ტიტულისათვის, მატჩს მათ სამშობლოშიც კი არ გამოუწვევია დიდი ინტერესი.**

ცზიუ ვენცზიუნმა მინიმალური ანგარიშით — 5,5:4,5 გაიმარჯვა და მსოფლიოს მე-17 ჩემპიონად მოგვევლინა. შეგახსენებთ, რომ მსოფლიოს ჩემპიონატი ქალთა შორის პირველად 1927 წელს ლონდონში გაიმართა და ჩეხი ვერა მენჩიკის ტრიუმფით დასრულდა.

სხვადასხვა წლებში მსოფლიოს უძლიერესი მოჭადრაკის ტიტულს ფლობდნენ:

ვერა მენჩიკი (ჩეხეთი) — 1927-1939 წწ. (ერთადერთი ქალი,რომელიც ჩემპიონის რანგში გარდაიცვალა), ლუდმილა რუდენკო (სსრკ) — 1949- 53წწ, ელიზავეტა ბიკოვა (სსრკ) — 1953-56; 1958-62 წწ, ოლგა რუბცოვა (სსრკ) —1956-58წწ, ნონა გაფრინდაშვილი — 1962-78 წწ, მაია ჩიბურდანიძე —1978 — 91 წწ, სე ცზიუნი (ჩინეთი) —1991- 96წწ; 1999-2001წწ, ჟუჟა პოლგარი (უნგრეთი) — 96-99 წწ, ჟუ ჩენი (ჩინეთი) — 2001-04 წწ, ანტოანეტა სტეფანოვა (ბულგარეთი) — 2004-06, 11.სიუ იუხუა (ჩინეთი) — 2006-08 წწ, ალექსანდრა კოსტენიუკი (რუსეთი) — 2008-2010 წწ, 13.ჰოუ იფანი (ჩინეთი) — 2010-11;20113-2015; 2016-17წწ, ანა უშენინა(უკრაინა) 2012-13 წწ, მარია მუზიჩუკი (უკრაინა) 2015-16 წწ, 16 ტან ჟუნი (ჩინეთი) — 2017-18 წწ, ცზიუ ვენცზიუნი (ჩინეთი) — 2018.

**ბეჟან დოლიძე**



**ინტერნეტიდან**

# ნუ აბრაზებთ ვანდას



**მილანის „ინტერის“ არგენტინელი ფორვარდის მაურო იკარდის მსოფლიოს ჩემპიონატზე წაყვანა-არწაყვანა მთელს საფეხბურთო სამყაროში დიდი განსჯის საგანი იყო და, ცხადია, მისი ეპატაჟური მეუღლისა და აგენტის — ვანდა ნარისთვის უკვალოდ არ ჩაუვლია, რომელსაც უთქვამს — ჩემს ქმარს ვინც დაჩაგრავს, ისე ვუზამ, კაკლის დამტვრევის სხვადასხვა მეთოდები მოიფიქრონო.**

მიუხედავად იმისა, რომ ვანდა ნარას ვინაობის არმცოდნე ადამიანი თითქმის არ გვეგულება, მაინც შეგახსენებთ, რომ ეს ის ქალია, რომელიც თავის დროზე მაურო იკარდის ყოფილი მეგობრისა და თანაგუნდელის მაქსი ლოპესის ცოლი იყო და მერე ისე აღმოჩნდა იკარდის სარეცელში — ერთი თვალი არ დაუხამხამებია.

ვანდას შესახებ ისიც აუცილებლად უნდა ვთქვათ, რომ შემთხვევით არაა თავისი ქმრის აგენტი. ამ ქალს ფეხბურთიც ძალიან კარგად ესმის და ისიც არ ეშლება, იკარდისათვის სარფიანი კონტრაქტები როგორ გაჩარხოს. ერთი ისაა, რომ ნამეტნავად კაპარჩხანა ვინმეა და თუ გადაირია, — მტერს და ავს...

**როსტომ რაჭველიშვილი**

მერაბ კოსტავა — 79

# თავისუფლებით უდუღდა სული



**რაც დრო გადის, მით უფრო ვრწმუნდებით ჭეშმარიტებაში, რომ მერაბ კოსტავა ეროვნული მოძრაობის უტეხი ლიდერის განსახიერებას წარმოადგენდა. დიახ, სწორედ მას ხვდა უფლისგან პატივი, ეროვნული მოძრაობა ჰყვარებოდა საკუთარ თავში და არა — პირიქით, როგორც ზოგ-ზოგიერთებს.**

კანონზომიერებად უნდა მივიჩნიოთ, რომ ეროვნული გმირი მთაწმინდაზე ქრისტესმიერი ძმის, ეროვნული მოძრაობის პატრიარქის, ქვეყნის პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას მხარდამხარ განისვენებს. მერე რა, რომ ისინი ამქვეყნად ნაადრევად დააშორეს ერთმანეთს — მათი საერთო იდეალები ხომ მარადიულია! თავისუფლებისთვის მებრძოლი გმირების უკვდავი სახელი და საქმე დღესაც მიუძღვის თანამემამულეთ სანატრელი მერმისისკენ.

დღეს „შავლეგოს“ 79-ე დაბადების დღეა!

# „79 ამბავი მერაბ კოსტავაზე“




**ამ წიგნში რომელიც გამომცემლობა „არტანუჯმა“ დაბეჭდა, მერაბ კოსტავას თავგადასავალია მოთხრობილი — ქვეყნის დამოუკიდებლობისთვის მებრძოლი კაცისა, რომელმაც ცხოვრებისა და ულმობელი სისტემის ყველაზე სასტიკ გამოცდებს გაუძლო.**

ბავშვობა, ოჯახი, 1956 წლის პირველი პროტესტი დიქტატურის წინააღმდეგ, და იმ დროიდან მოყოლებული დისიდენტური და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წინამძღოლობა ზვიად გამსახურდიასთან ერთად; პატიმრობა, გადასახლება, უმკაცრესი პირობების საბჭოთა გულაგებში გატარებული ათი წელი და სამშობლოში დაბრუნების შემდეგ დატრიალებული ეპოქალური ამბები...

თქვენ წინაშეა 79 წლის მერაბ კოსტავა — დანახული მეგობრების, ოჯახის წევრების, თანამებრძოლების თუ მის გვერდით სრულიად შემთხვევით აღმოჩენილი ადამიანების თვალით.

შეადგინეს **კახმეგ კუდავამ** და **ნინო ოდილავაძემ**.

გთავაზობთ მოგონებებს წიგნიდან **„79 ამბავი მერაბ კოსტავაზე“,** რომლის წარდგინებაც დღეს 26 მაისს, ეროვნული გმირის დაბადების დღეზე შედგება მისსავე სახელობის სახლ-მუზეუმის ეზოში.

# აბსოლუტური სმენა

**მოსკოვის 56-ე სკოლის სააქტო დარბაზის სცენაზე როიალთან ვიჯექი და ჯაზს ვუკრავდი. გვერდით თანაკლასელი ჟენია ჩერნიშოვი მეჯდა და პიონერულ დოლზე რიტმში რაღაცას აბრახუნებდა. ჩემ გარდა სკოლაში ფორტეპიანოზე არავინ უკრავდა და, ბუნებრივია, დარბაზი გასუსული მისმენდა.** განსაკუთრებით ეფექტური პასაჟების შესრულებისას ამაყად გადმოვხედავდი ხოლმე პირველ რიგში მჯდომ ლამაზ გოგოებს — ტანია ივანოვას, ოლია რუმიანცევას და რონა მურავიოვას. ერთხელაც, დარბაზისკენ რომ შემოვტრიალდი, ბოლო რიგში შევნიშნე უფერული რუსი ბავშვებისაგან განსხვავებული, შავულვაშიანი სახე, რომელიც მომეჩვენა, რომ მიღიმოდა. დაკვრა გავაგრძელე, თუმცა სულ იმ მოღიმარ ულვაშიან ადამიანზე ვფიქრობდი. ვინ შეიძლებოდა ყოფილიყო? ისევ რომელიმე ქართველი ნათესავი ხომ არ გვესტუმრა-მეთქი. თუმცა, სკოლაში რატომ მოვიდოდა. შინ დამელოდებოდა. ტაშმა იქუხა, სცენიდან სწრაფად ჩამოვირბინე და ბოლო რიგისკენ გავემართე. რომ მივუახლოვდი, ვიცანი და გავოცდი. ულვაშა მერაბ კოსტავა აღმოჩნდა. მე შენ ციხეში მგონიხარ-მეთქი, ვუთხარი და გადავეხვიე. გაზეთ „კომუნისტში“ დაბეჭდილი წერილი „სარეველა“, რა თქმა უნდა, წაკითხული მქონდა და მართლა არ ველოდი მასთან შეხვედრას. გამოგვიშვესო, მითხრა. ჩემთან სახლში ავედით. იქამდე მოსულა და დედაჩემს გამოუშვია სკოლაში. ვისადილეთ. ჩაის რომ ვსვამდით, მითხრა: „დარბაზში როცა შემოვედი, შენ რე მაჟორში უკრავდი და ფინალში ფა მაჟორში გადახვედი“. „შენ რა, აბსოლუტური გაქვს?“ — თუ გინდა გამსინჯეო, მითხრა. მივედით ჩემს „კრასნი ოკტიაბრთან“. აბა, თავი მიატრიალე-მეთქი და ავიღე დო. სიო, მეუბნება. არა, დო. შეწუხდა. ავიღე სოლ, ფა დიეზიო, ამბობს. და აქ გამახსენდა, რომ ჩემი უბედური პიანინო დეკის სისუსტის გამო ნახევარი ტონით დაბლაა აწყობილი. ვუთხარი. ბოდიში მოვუხადე და ხელი ჩამოვართვი. მერე вечеринка-ზე წავიყვანე, რუსი გოგოები გავაცანი. ერთმა გოგომ გვთხოვა, სახლში მიმაცილეთო. Дорогомиловская застава-სთან მოხულიგნო ტიპები იდგნენ. ერთი მოგვიახლოვდა და ჩვენს გოგოს დაეჭყანა. მერაბი აღშფოთდა. ძლივს შევაკავე. გეყოფა რაინდობა-მეთქი. აქ ცუდი ცემა იციან. ადრე ნანახი მქონდა, როგორ გალახა ზუსტად ამ ადგილას ექვსმა ბიჭმა ინტელიგენტური გარეგნობის პორტფელიანი სომეხი კაცი. დამიჯერა და გადავრჩით.

**გელა ჩარკვიანი**

# გოგებაშვილის გვერდით

**მერაბმა და ზვიადმა უდიდესი კვალი დატოვეს ჩემს სულში. მერაბის მიმართ მქონდა საოცარი შეგრძნება. ის მართლაც უნდა მოსულიყო მეტეორივით, გადაეფრინა ცაზე და ისევ ჩამქრალიყო. ზვიადი კი დიდი პატრიარქი უნდა იყოს თავისი ერის, ყველამ უნდა დაივიწყოს მისი მტრობა, პატივისცემით განიმსჭვალონ მის მიმართ-მეთქი. მერაბი სწორად მიგრძნია.**

შუადღე იყო. მერაბის ეზოში ვიყავით. ამ დროს მოვიდა ჩემთან ახალგაზრდა კაცი, ნოდარ გურული, რომელიც ეროვნული მოძრაობიდან მახსოვდა, და მითხრა, გურამ, ბატონმა ზვიადმა გამომგზავნა, უთხარი გურამს, რომ ადით ახლავე მთაწმინდაზე და შეარჩიეთ ადგილი, სადაც უნდა იყოს მერაბის საუკუნო განსასვენებელიო.



ცოდვა გამხელილი სჯობს და უნდა ვთქვა, რა უნდა იყოს სასიამოვნო იმაში, რომ შენი მეგობრისთვის, საქართველოს ეროვნული გმირისთვის, დიდი ქართველისთვის ირჩევდე მის საუკუნო განსასვენებელ ადგილს, მე მაინც მესიამოვნა, რომ ზვიადმა ეს საპატიო საქმე მე მომანდო.

წავედით, ავედით მთაწმინდაზე, ბევრი ვიარეთ, მინდოდა, რაც შეიძლება, კარგი და ლამაზი ადგილი შემერჩია, ბოლოს იაკობ გოგებაშვილის ბიუსტთან შევჩერდი და მივხვდი, რომ მერაბი აქ, მის ახლოს უნდა დასაფლავებულიყო, იმიტომ რომ სწორედ იმ ღირებულებებს შესწირა თავი მერაბმა, რაც წლების წინ იყო ილიასგან ნათქვამი და იაკობ გოგებაშვილისგან გაზიარებული: ენა, მამული, სარწმუნოება! გოგებაშვილი ერის ბურჯი იყო, მისი ამქვეყნიური ცხოვრება მისაბაძია ყოველი ქართველისათვის. მაშინ წიგნი ძალიან ძვირი იყო და წიგნის გამოცემის დროს ავტორი საკმაოდ კარგ ჰონორარს იღებდა. გოგებაშვილის სიცოცხლეში 22-ჯერ გამოვიდა „დედა ენა“ და მთელი ჰონორარი მან ქართველი ბავშვების კეთილდღეობისთვის გაიღო. ამ ყველაფრის შემდეგ ვიფიქრე, რომ მართლაც კარგი იქნება აქ მერაბის საფლავი-მეთქი და გოგებაშვილის საფლავის გვერდით მიწას ფეხი დავკარი, — აი, აქ-მეთქი და წამოვედით.

მერაბის დასაფლავებას მე ვერ დავესწარი, წინა დღით მისი ხსოვნისადმი მიძღვნილი მიტინგი ჩავატარეთ რუსთავში. მის პატივსაცემად თავზე ჩემი სვანური ქუდი არ მეხურა და რადგანაც ცუდი ამინდი იყო, საშინლად გავცივდი. თვალებიდან ცრემლი მდიოდა და მთელი ცხვირ-ხახა მეწვოდა. ერთი სიტყვით, ვერ წავედი... ტელევიზიით ვუყურებდი ამ დიდზე დიდ პროცესიას, როგორ მიასვენებდა ქართველი ხალხი მთაწმინდისკენ მერაბის ცხედარს.

მას შემდეგ, რაც მერაბი გარდაიცვალა, მეც შევატყვე და სხვებმაც შეატყვეს, რომ როცა ზვიადი გამოდიოდა მიტინგებზე სიტყვით, როგორღაც შეცვლილი იყო მისი ჟესტები, მიმიკა, მეტყველება, უფრო გახშირდა მასთან შემართული მუშტი, მისი ხმა უფრო მჭექარე გახდა. თითქოს მერაბის სიკვდილის შემდეგ ზვიადს შეემატა მერაბის სულის ნაწილი, თუმცა მანამდეც, მერაბის სიცოცხლეში, დიდი ქართველი კაცის აკაკი გაწერელიას ღირსეულმა შვილმა კოკა გაწერელიამ თქვა: **„ზვიადი და მერაბი — ეს არის ერთი სული ორ სხეულში“** — და მართლაც ასე იყო, თავისი ყოველნაირი მიზნებით და ამ მიზნების განხორციელების გზებით, აბსოლუტურად ერთნაირები იყვნენ.

არ მქონია არც ერთი საუბარი ბატონ ზვიადთან, მერაბის სიკვდილის შემდეგ რომ მას არ ეხსენებინა მერაბი.

**გურამ პეტრიაშვილი**

# მეამბოხე რაინდი

**1974 წელი იყო, ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნებაში“ ვმსახურობდი. მაშინ ამ ჟურნალს ბევრი კითხულობდა, საზღვარგარეთიდანაც კი იწერდნენ. ერთ დღეს ზვიად გამსახურდიამ, რომელსაც უკვე დიდი ხანია, ვიცნობდი — ერთუბნელები ვიყავით, ვერელები, — რედაქციაში მერაბ კოსტავა მოიყვანა, სტატია დაწერა და მთხოვა, წამომიყვევიო. მაშინვე წავიკითხე. შესანიშნავი სტატია იყო, პროფესიონალი მუსიკოსის დაწერილი. მალევე დაიბეჭდა. მადლობის სათქმელად მოვიდა, უკვე მარტო. მე ვთხოვე, — სტურუამ რუსთაველის თეატრში „ღალატი“ დადგა, იქნებ ნახო და რამე დაწერო-მეთქი.**

ერთი კვირის შემდეგ მართლაც კარგი რეცენზია მოიტანა, რომელიც, რასაკვირველია, მაშინვე დაიბეჭდა. რამდენიმე ხნის მერე რედაქციაში ერთი ცნობილი ორგანიზაციის წარმომადგენელი მოვიდა, ეტყობა, ჟურნალ-გაზეთების თვალთვალი ჰქონდა დავალებული, მითხრა, — რას შვებით, კაცს დასაჭერად აქვს საქმე, თქვენ კი ბეჭდავთო. ჩემო ბატონო, ვუპასუხე, ყველამ თავისი საქმე უნდა აკეთოს — ჩემი საქმე ბეჭდვაა, თქვენი, ეტყობა, დაჭერა-მეთქი. მერაბს მერე აღარ შევხვედრივარ. ეს იყო და ეს.

მხოლოდ ერთხელ, დიდი ხნის მერე, „ზემელზე“ მომიტინგეთა ჯგუფიდან ხელის აწევით მომესალმა და დამიძახა, — თამაზ, როგორა ხარო?

შესანიშნავი პიროვნება იყო, ათას კაცში რომ გამოარჩევდი, ისეთი. მე, როგორც ვთქვი, ძალიან ზერელედ, შორიდან ვიცნობდი, მაგრამ ვგრძნობდი მის გამორჩეულობას. თავისი საქციელით, თავდაჭერით პოლიტიკასაც კი, რასაც კი არ ემსახურებოდა, მთელი არსებით ეწირებოდა, კეთილშობილების იერს ანიჭებდა. ნიჭი, რომელიც მისი პრინციპულობის საფუძვლადაც კი იქცა, გამოსჭვიოდა მისი არა მარტო სიტყვიდან, არამედ დუმილიდანაც კი. მაგრამ, ამავე დროს, თითქოს ბედისწერის ტვიფარი აჩნდა შუბლზე. იმდენად ძლიერი ნებისყოფა ჰქონდა, შეეძლო, ბედისწერისთვისაც კი მხარი გაესწორებინა, ბედისწერა ექცია მეგობრად, ძალად, რომელიც თავისი მრწამსის განსახორციელებლად სჭირდებოდა. „მან შეძლო თითქმის შეუძლებელი რამ: შექმნა საკუთარი თავი!“ — ეს სიტყვები ჩე გევარას ცოლმა თქვა თავის ქმარზე.

ჩვენ შეგვიძლია, იგივე სიტყვები გავიმეოროთ მერაბ კოსტავაზე, რომელმაც შექმნა თითქმის წარმოუდგენელი რამ — სახე კეთილშობილი, მე ვიტყოდი, რაინდი მეამბოხისა, რომლის დამარცხებაც მხოლოდ ბედისწერას შეეძლო და აკი ასეც მოხდა.

**თამაზ ჭილაძე**

# „მოკვდა ვაჟკაცური სიკვდილით...“

## კეთილშობილი ქართველი თავადი კოტე აფხაზი

მიტროპოლიტმა პიტირიმმა დაახლოებით შემდეგი უპასუხა „ღმერთმან უწყის, რამდენი რამ გამოვიარე ამ უკანასკნელ წელს. შემიძლიან, ვთქვა, რომ ამ დროს მანუგეშებდა და ხვედრს მიმსუბუქებდა ივერიის ეკლესიის მოგონებანი. საუკუნეთა განმავლობაში საქართველო ვერ ჰპოულობს თავის სურვილთა განხორციელებას, მაგრამ ერთგული რჩება რუსეთისა და, ახლაც თავის საუკეთესო შვილთა სიცოცხლეს მსხვერპლად სწირავს. ქართველთ ხასიათის ერთგვარი თავისებურება აქვთ — ნაღველში გაერთიანება, სიხარული და იმედი უკეთეს მომავლისა, მე ბედნიერი ვიქნები, თუ ოდესმე გავიგონებ, რომ ბედნიერია საქართველო და ბედნიერნი არიან ძენი ივერიის ეკლესიისაო. ჩემი მუდმივი მისწრაფება არის — ხელი შევუწყო ივერიის ეკლესიის კეთილდღეობას, მაგრამ ბევრი რამ ხშირად ჩვენზე არ არის დამოკიდებული. უნდა იმედი გვქონდეს უკეთესი მომავლისა და მხნეობას ნუ დავკარგავთ, ვინ უწყის, როგორია განგება უფლისა? იქნება მეც ის მიწერია, რომ ძვლები ჩემი ჩავყარო ჩემთვის ძვირფას საქართველოში, ღვთისმშობლის წილხდომილ ქვეყანაში“.

კ. აფხაზი 1917 წლის 15 მარტს საბოლოოდ ბრუნდება სამშობლოში და ბოლო ამოსუნთქვამდე მას აღარც განშორებია...



ВЫПИСКА ИЗ ПРОТОКОЛА № 19 от 19-го Мая 1923 года.
Расширенного Заседания Коллегии Закавказской и Грузинской Чрезвычайных Комиссии.
Под председательством Пред... т. МОГИЛЕВСКАГО.
Присутствовали: т.т. ПАНКРАТОВ, ЗОНОВ, МАХНОВСКИЙ, НИКОЛАЕВ, КВАНТАЛИАНИ, БЕРИЯ, МИКЕЛАДЗЕ, ЭЛИАВА, ОРАХЕЛАШВИЛИ и ЛОМИНАДЗЕ.

| Слушали: | Постановили: |
|---|---|
| Докладчик тов. АШУКИН: | I - За организацию заговора против Сов. власти Грузии, создание бандитского движения в Грузии и участие в нем, шпионаж в пользу Антанты, предательство и измену Рабоче-Крестьянскому Государству - ПОСТАНОВЛЕНО: |
| I - Дело военной организации анти-советских партий, по обвинению: | |
| 5/ АБХАЗИ Константина Николаевича, 55 лет, с высшим образованием, б. князя, б. генерала - б. предводителя дворянства, председателя ЦК Грузинской Н.Д. Партии.- | 5/ АБХАЗИ Константина Николаевича, 55 л. с высшим образованием, б. князя, б. генерала - б. предводителя дворянства, председателя ЦК Грузинской Н.-Д. Партии. Вошел в В.Ц. и участвовал в руководстве подготовкой к возстанию против Соввласти в Грузии, при обсуждении в ЦК Н.Д. вопроса о возстании голосовал, по собственному признанию, за немедленно вооруженное возстание - РАССТРЕЛЯТЬ. Приговор привести в испол. в 24 час. срок. |

Подлинный за надлежащими подписями.

ВЫПИСКА ВЕРНА:

/...ЙСОВ/

კოტე აფხაზის დახვრეტის დადგენილება

მისი საქმიანობის ყველაზე მნიშვნელოვან მომენტად მოგვაჩნია ის უდიდესი ძალისხმევა, რაც მან თავისი საზოგადოებრივი მდგომარეობიდან გამომდინარემ, თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოებისა და საადგილმამულო ბანკის მიერ თითქმის 50 წლის მანძილზე დაგროვებული უძრავ-მოძრავი ქონების დაცვისა და განკარგვის საკითხისთვის განახორციელა, რამაც შესაძლებელი გახადა ათეულ მილიონობით ღირებულების ქონების შემდგომში დამოუკიდებელი საქართველოს ეკონომიკური აღმშენებლობის ფუნდამენტად გამოყენება, ამ საკითხის მოგვარების საქმეში უპირველესი როლი შეასრულა საქართველოს პირველი ეროვნული ყრილობის მოწვევამ და ეროვნული საბჭოს შექმნამ... კ. აფხაზის მიერ ამ მიმართულებით გაწეული ფასდაუდებელი საქმიანობა ჯერ კიდევ სათანადოდ დაფასებული არ არის.

ბოლშევიკური რუსეთის მიერ დამოუკიდებელი საქართველოს ხელახალი სისხლიანი ოკუპაციის შემდეგ, კ. აფხაზსაც შეეძლო საზღვარგარეთ გახიზვნა და ემიგრანტთა შორის არცთუ უჩინო ადგილის დამკვიდრება . . . მაგრამ ეს მან, როგორც ღირსეულმა მამულიშვილმა და ნაღდმა მხედარმა, არ იკადრა. დღეს რაოდენ დამაფიქრებლად ჟღერს მისი სიტყვები, განსაკუთრებით იმათ გასაგონად, რომლებიც ასე იოლად, უკეთესი ცხოვრების სურვილით შეპყრობილნი, ტოვებენ თავიანთ სამშობლოს და ემიგრაციაში წასვლა დიდ გმირობად მიაჩნიათ. როცა კ. აფხაზისთვის უცნობებიათ „ჩეკა“ დაგეძებთ დასაჭერად და კომიტეტმა გადაწყვიტა თქვენი საზღვარგარეთ გამგზავრებაო, მას მოუსმენია ეს შეთავაზება და დინჯად უპასუხია: „დიდად მადლობელი ვარ კომიტეტისა მზრუნველობისათვის, მაგრამ ჩვენს ქვეყანასა და ხალხს ვერ მივატოვებ მისთვის ამ გაჭირვების ხანაში, გარდა ძველი ქართული ისტორიული ტრადიციისა, რომელიც ასეთ დროს იშვიათად ატოვებინებდა ქართველ კაცს თავის სამშობლოს, სად გაგონილა, რომ გენერლები ჯარს ბრძოლის ველზე სტოვებდნენ და გარბოდნენ... მე ვრჩები და დავრჩები ბოლომდე, რათა დავეხმარო საქართველოს მებრძოლ ბანაკს განთავისუფლებისთვის ბრძოლაში.“



კოტე აფხაზი მეუღლესთან

ამ სიტყვების მთქმელი პიროვნება თამამად შეიძლება, ზნეობრივი გმირის მაგალითად დავუსახოთ ჩვენს მომავალ თაობებს.

კ. აფხაზი, როგორც „სამხედრო ცენტრისა“ და „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის“ ხელმძღვანელი, 1923 წლის თებერვალში დააპატიმრეს, ხოლო 19 მაისის ღამეს „ჩეკას“ დადგენილებით, გაუსამართლებლად დღევანდელი ვაკის პარკის მიდამოებში დახვრიტეს.

გამოჩენილი ქართველი მეცნიერი ზურაბ ავალიშვილი კ. აფხაზის ტრაგიკულ აღსასრულთან დაკავშირებით წერდა: **„მეცხრამეტე საუკუნის საქართველოს შეგნების უმთავრესი გამომხატველის, თავადი ილია ჭავჭავაძის (1837-1907) დისწულმა კონსტ. აფხაზმა, საბჭოს არჩეულმა წევრმა, პატიოსნად და ღირსეულად დაასრულა 1917 წელს აღმოსავლეთ საქართველოს თავად-აზნაურობის წრე, რომელიც ასზე მეტი წლის წინათ დაიწყო თავადმა გარსევან ჭავჭავაძემ. 1923 წლის მაისში კ. აფხაზი საბჭოთა წყობილების საწინააღმდეგო შეიარაღებული აჯანყების მოწყობაში ბრალდებული 15 სხვა სახელოვან მეომართან და მამულიშვილთან ერთად მოკვდა ვაჟკაცური სიკვდილით.“**

კ. აფხაზის, გამორჩეული პიროვნებისა და გულმხურვალე პატრიოტის შესახებ შესანიშნავად არის აღნიშნული სპ. კედიას წერილში **„წააქციეს და თავი მოსჭრეს კოტე აფხაზს. კეთილშობილი და მორიდებული, გონიერი და მყარი ვით კლდე, ჩვენი აფხაზი, აწ მსხვერპლად გაღებული სამშობლოს დიდებისთვის, ხასიათი იყო საქართველოსი. ის დიდი ქართველები, რომელნიც ქმნიდნენ საქართველოს . . . მე მხოლოდ კოტე აფხაზის სახით მყავდა ამ ჩვენს დროში წარმოდგენილი. დიდი ილიას წაქცევის შემდეგ, დღეს პირველად ვიგრძენი საქართველოს სინამდვილიდან ქართული ხასიათის ამოთხრის ტკივილები. მან ილიას ხასიათი კოტეში გამოაქსოვა. დიდი ქართველი თუ ოდესმე გვყავდა, ისინი მხოლოდ ილიას და კოტეს ტიპისა უნდა იყვნენ. პატარა ჩვენი ქვეყანა დიდ საქართველოდ, ნამდვილ საქართველოდ მხოლოდ ასეთი ადამიანების მეოხებით გადაიქცევა... მისი მშვიდი და დალაგებული გარეგნობის ქვეშ ძლიერი სულის ტალღები გორაობდა. ჩვენი მოქმედი მთავარი ცენტრის თავმჯდომარე იყო და თანაც სამხედრო საბჭოს წევრიც... შეგროვდით იქაური ამხანაგები ვინც ხართ, მიდით და ნუგეში ეცით მის განადგურებულ მეუღლეს ელენე აფხაზს და მის ვაჟს... “**

რაც შეეხება კ. აფხაზის ცოლ-შვილს — ელენე იოსელიანსა და ვაჟს — ნიკოლოზს. ისინი 1926 წელს ემიგრაციაში საფრანგეთში წავიდნენ, სადაც კოტეს ჩასვლასაც ელოდნენ. პარიზში დასახლებულნი აქტიურად მონაწილეობდნენ ქართული სათვისტომოს საქმიანობაში. თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიის კურსდამთავრებულმა ნიკოლოზმა სორბონის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე მიიღო უმაღლესი განათლება, დაიცვა დოქტორის ხარისხი და ეწეოდა საადვოკატო პრაქტიკას. მის კლიენტთა შორის ყოფილან მდიდარი ამერიკელი ცოლ-ქმარი კელები, რომლებსაც ნიკ. აფხაზისათვის 120-ოთახიანი სასახლის და შესანიშნავი კარ-მიდამოს მეურვეობა მიუნდვიათ, აქ იგი დედასთან ერთად ცხოვრობდა მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე. ომის დროს ნიკ. აფხაზს, როგორც საფრანგეთის უცხოური ლეგიონის ოფიცერს, იარაღით ხელში უბრძოლია გერმანელ ფაშისტთა წინააღმდეგ გენერალ შარლ დე გოლის ხელმძღვანელობით - ჩრდ. აფრიკაში, ალჟირში, ლიბიაში, დაჯილდოებული ყოფილა საპატიო ლეგიონერის ორდენით. ერთ-ერთი ოპერაციის დროს ტყვედ ჩავარდნილა და გერმანელთა საკონცენტრაციო ბანაკში მოხვედრილა, საიდანაც 1944 წელს მოუხერხებია თავის დაღწევა, თუმცა ერთადერთი შვილის უმძიმეს ხვედრს დედამისის სიცოცხლე შეწირვია. მარტოდმარტო დარჩენილ ნიკ. აფხაზს აშშ-ში გაუგრძელებია ცხოვრება, სადაც მოგვიანებით დაქორწინებულა ახალგაზრდობისდროინდელ მეგობარ ქალზე მარჯორი (პეგი) ჰერბერტონ-კარტერზე... 1946 წელს ისინი კანადაში, კუნძულ ვანკუვერის ქ. ვიქტორიაში დასახლებულან. შვილები არ ჰყოლიათ. კანადის მკაცრ კლიმატურ პირობებში ულამაზესი ლანდშაფტური ბაღი გაუშენებიათ, რომელიც დღეს ბრიტანეთის კოლუმბიის ბუნების დაცვის საზოგადოების საკუთრებას წარმოადგენს. ნიკ. აფხაზი 87 წლის ასაკში გარდაიცვალა და კანადის მიწაში განისვენებს.

**გელა საითიძე,**
**ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.**

დასასრული. დასაწყისი იხ. №109-110

## იმ დღეების პოეზია

### გალაკტიონ ტაბიძე



### დაბრუნება საქართველოში!

ლიხს იქით და აქით, მტკვარს, ლიახვს
და ფაზისს
არქმევენ უდაბნოდ გადაშლილ ოაზისს,
სადაც მზე მწველია, ცხელია ქარები,
მცხეთაში გრიალით მიქრიან ზარები,
გუგუნებს იტრიის ხეობა უღრანი,
და ოხრავს წარსულზე ნანგრევი მუხრანი,
ყოველგან უჩინრად ტირიან დანაკლის
თამარის ტაძრები და ძვლები ირაკლის.
და
ყოველ საფლავზე, მზის ყოველ ღეროზე,
ხაზებად იშლება ელადა, ეროსი!
სალამი, სალამი სამშობლოს!
სალამი ჩემს ძვირფასს სამშობლოს!
საღამოს ლანდებად ბურუსი ნიავის
მიდამოს სდებია...
გინახავთ თქვენ ფერი დაბინდულ ქლიავის?
ეს ჩემი სამშობლო მთებია!
მე რაღაც იდუმალ მოლოდინს ვუნდები...
ირგვლივ ზვირთებია
და გემი „დალანდი“, რომლითაც ვბრუნდები!

### ნიკოლო მიწიშვილი



### დღეს

(ექსპრომტი)

დელია ოდელა დელია... ზეიმობს
სამშობლო მწვანეთი,
ძველ კახეთს მოუხმობს გურია,
იმერეთს ეძახის სვანეთი.
ზარები მღერიან ქალაქში,
სხვა გვარად მღერიან ზარები,
სამშობლო მოუცავს სიხარულს,
გამთბარა ძველად ნამწარები.
დაფნა და ვარდები სამშობლოს,
დასწნავენ შვილები გვირგვინებს,
დადგება ამინდი მზიანი, ჩვენს ცაზე
მეხი არ იგრგვინებს.
სიხარულს, სიყვარულს ქვეყნისას
ვერ იტევს დღეს ჩვენი მკერდები,
მზიანო სამშობლო იხარე, ჭაბუკო
შენ არ დაბერდები.
იქნები, შენ აღარ მიჰქრები,
ინათებს სულ შენი ლამპარი,
შენია მთლად ჩვენი ფიქრები,
და ჩვენი მკერდები დამფარი,
ზარები მღერიან ქალაქში, ზეიმობს
სამშობლო მწვანეთი,
ცხელ კახეთს მოუხმობს გურია,
ხელს უწვდის იმერეთს სვანეთი.

**26 მაისი, 1919 წელი**
**გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“**

# ყველაზე დიდი აჩრდილ-ქალაქები

## რატომ ცარიელდებოდა დასახლებული პუნქტები

**მსოფლიოში ძალიან ბევრია ამა თუ იმ მიზეზით მიტოვებული ქალაქი — ზოგიერთი დაცარიელდა საუკუნეების წინათ და ეს იყო დაკავშირებული მთელი ცივილიზაციების გაქრობასთან. ზოგიერთი კი მიტოვებულ იქნა ჩვენს დროში — ეკონომიკური მდგომარეობის, ომის, ბუნებრივი ან ტექნოგენური კატასტროფების გამო.**

**10 ყველაზე დიდი დაცარიელებული ქალაქი:**

### 5. ჩაიტენი, ჩილე, მოსახლეობა შეადგენდა 7 182 ადამიანს

საპორტო ქალაქი ჩაიტენი მდებარეობდა ჩილეს და არგენტინის საზღვარზე, ამავე სახელის ვულკანის გვერდით. ბოლო 10 000 წლის მანძილზე ვულკანს მშვიდად ეძინა, თუმცა 2008 წლის მაისში მან გაიღვიძა. ხელისუფლებამ გამოაცხადა საგანგებო მდგომარეობა, და დაურიგა მოსახლეობას პირბადეები, თუმცა ამან ვერ უშველა - სულ მალე ქალაქში შეუძლებელი გახდა სუნთქვა, ხოლო ქუჩები დაიფარა ფერფლით. რამდენიმე დღეში ქალაქიდან ევაკუირებულ იქნა მთელი მოსახლეობა.



### 4. კადიჩკანი, მოსახლეობა შეადგენდა 12 000 ადამიანს

პატარა ქალაქი რუსეთში, მაგადანის ოლქში, დაარსდა მე-2 მსოფლიო ომის დროს, როგორც მუშების დასახლება. აშენდა პატიმრების მიერ. ქალაქის მოსახლეობის ძირითადი საქმიანობა იყო მუშაობა ნახშირის მაღაროებში.



1996 წელს ერთ-ერთ საბადოზე მოხდა ძლიერი აფეთქება, დაიღუპა 6 ადამიანი. ამის შემდეგ მაღაროები დაიხურა. მოსახლეობამ მიიღო კომპენსაციები და დატოვა ქალაქი, რომელიც 2001 წელს დაკონსერვდა. თუმცა 2001 წელსაც კი ქალაქში დარჩა 4 დასახლებული ქუჩა, რომელიც დაიცალა მოგვიანებით.

### 3. ტავარგა, ლიბია, მოსახლეობა შეადგენდა 24 223 ადამიანს

ქალაქი ლიბიაში, რომელიც გახდა სამოქალაქო ომის მსხვერპლი. ტავარგას მოსახლეობის დიდ ნაწილს წარმოადგენდნენ შავკანიანები, რომელთა მიმართ არსებობდა ეჭვი, რომ ისინი მხარს უჭერდნენ გადაყენებულ დიქტატორს მუამარ კადაფის. გაეროს ინფორმაციით, ოპოზიციის მიერ ქალაქის აღების შემდეგ, იქ დაიწყო ადგილობრივი მოსახლეობის მასობრივი განადგურება. ამის გამო მათი დიდი ნაწილი გაიქცა ან ლიბიის სხვა ქალაქებში, ან სხვა ქვეყნებში.ამ ეტაპზე არაა საბოლოოდ გარკვეული — იყო თუ არა ტავარგას ეთნიკური წმენდა შურისძიება ძველი მთავრობის მხარდაჭერის გამო, თუ ჩვეულებრივი რასიზმის გამოვლინება.



### 2. პრიპიატი, უკრაინა, მოსახლეობა შეადგენდა 49 400 ადამიანს

მიტოვებული ქალაქი კიევის ოლქში, უკრაინაში. მოსახლეობა სასწრაფო ევაკუირებულ იქნა 1986 წლის 27 აპრილის ჩერნობილის ავარიის შემდეგ. ქალაქი ემსახურებოდა ჩერნობილის ატომურ ელექტროსადგურს, სწორედ მან მიიღო პირველი, და ყველაზე სერიოზული დარტყმა გამოყოფილი რადიაციისგან. პრიპიატი დღესაც იმყოფება ცხოვრებისთვის დახურულ ზონაში. ავარიის შემდეგ ქალაქში განხორციელდა დეზაქტივაციის სამუშაოები, რის შემდეგაც რადიაციული ფონი მკვეთრად შემცირდა. სადღეისოდ პრიპიატი არის პოპულარული და მიმზიდველი ტურისტული ობიექტი.



### 1. აგდამი, აზერბაიჯანი, მოსახლეობა შეადგენდა 150 000 ადამიანს



სრულიად დაცარიელებული ქალაქი-აჩრდილი. 1991-1994 სომხეთ-აზერბაიჯანის ომამდე იყო დიდი და განვითარებული ქალაქი. 1993 წელს ბრძოლების შემდეგ ის დაიკავა სომხეთის ჯარმა, რამაც გამოიწვია მისი სრული დაცარიელება. აგდამში დანგრეულია ყველაფერი, ერთადერთი გადარჩენილი შენობაა — მეჩეთი ქალაქის ცენტრში. იქ ხშირად ჩადიან ახლომდებარე სომხური სოფლების მცხოვრებლები, რომლებსაც მიაქვთ თან მშენებლობისთვის ვარგისი მასალები და არმატურა.

დანართი #1

## სს „ელმავალმშენებელი“ 2018 წლის 25 მაისიდან აცხადებს ინტერესთა გამოხატვას მის საკუთრებაში არსებული სხვადასხვა მოწყობილობების რეალიზაციის შესახებ.

<u>ლოტი</u> #1
სახარატო ხრახნმჭრელი ჩარხი (მოდ. 1K62, ინვ.#1174) - 1 ცალი.
<u>ლოტი</u> #2
სახარატო ხრახნმჭრელი ჩარხი (მოდ. 165, ინვ.#430) - 1 ცალი.
<u>ლოტი</u> #3
სახარატო ხრახნმჭრელი ჩარხი (მოდ. 16K20, ინვ.#1667) - 1 ცალი.
<u>ლოტი</u> #4
ჰორიზონტალურად საღარავი ჩარხი (მოდ. FU-400, ინვ.#532) - 1 ცალი.
<u>ლოტი</u> #5
ბრტყლად სახეხი ჩარხი (მოდ. 3ц71, ინვ.#603) - 1 ცალი.
<u>ლოტი</u> #6
მაგიდაზე საბურღი ჩარხი (მოდ. 2M112, ინვ.#1575) - 1 ცალი.
<u>ლოტი</u> #7
უნივერსალური საღარავი ჩარხი (მოდ. 6ц80ц, ინვ.#1234) - 1 ცალი.
<u>ლოტი</u> #8
ვერტიკალურად საღარავი ჩარხი (მოდ. 6P11, ინვ.#2210) - 1 ცალი.
<u>ლოტი</u> #9
ჰორიზონტალურად საღარავი ჩარხი (მოდ. FW-400, ინვ.#1099) - 1 ცალი.
<u>ლოტი</u> #10
გადამჭრელი ხერხი (მოდ. 8ц662, ინვ.#2148) - 1 ცალი.
<u>ლოტი</u> #11
შედუღების აპარატი (მოდ. ц-825ц ццц-303, ინვ.#ე-03097) - 1 ცალი.
<u>ლოტი</u> #12
შედუღების აპარატი (მოდ. ццц, ინვ.#ე-21034) - 1 ცალი.
<u>ლოტი</u> #13
ზეთიანი ამომრთველი (მოდ. ццц-6цц, ццц-272, ინვ.#ე-14401) - 2 ცალი.
<u>ლოტი</u> #14
ძალური ტრანსფორმატორი (მოდ.цц-630, ინვ.#ე-14401-1) - 1 ცალი.
<u>ლოტი</u> #15
ელ.ხიდური ამწე (ტ/ა-5ტ., ინვ.#2809) - 1 ცალი.
<u>ლოტი</u> #16
ამწე კოჭა (ტ/ა-2ტ., ინვ.#2261) - 1 ცალი.
<u>ლოტი</u> #17
ელ.ტელფერი (ტ/ა-0,5ტ., ინვ.#2659) - 1 ცალი.
<u>ლოტი</u> #18
ელ.ტელფერი (ტ/ა-0,5ტ., ინვ.#2976) - 1 ცალი.
<u>ლოტი</u> #19
ელ.ტელფერი (ტ/ა-0,5ტ., ინვ.#2977) - 1 ცალი.

<u>წინადადებების მიღების ბოლო ვადა:</u> 2018 წლის 30 მაისი, 12:00 საათი.

<u>წინადადებების მიღების ადგილი:</u> დ.გურამიშვილის გამზირი #84, ადმინისტრაციული შენობის ოთახი #216.

<u>კონკურსში გამარჯვების კრიტერიუმია:</u> ყველაზე მაღალი ფასის შემოთავაზება.

<u>განსაკუთრებული პირობა:</u>
- პრეტენდენტები ვალდებულნი არიან წარმოადგინონ თავისი წინადადებები დალუქულ კონვერტებში;
- პრეტენდენტები ვალდებულნი არიან წარმოადგინონ თავისი წინადადებები ლოტების განფასების მიხედვით.

<u>კონკურსში გამარჯვებული პრეტენდენტი ვალდებულია:</u>
- საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს დანადგარების დემონტაჟისათვის საჭირო ტექნიკისა და მუშა ხელის დაქირავება და შესაბამისი სამუშაოების განხორციელება;
- დემონტაჟის დროს არ დააზიანოს ახლოს მდებარე დაზგა-დანადგარები;
- დემონტაჟის დასრულების შემდეგ უზრუნველყოს სატრანსპორტო საშუალების დაქირავება და შეძენილი საქონლის საზოგადოების ტერიტორიიდან გადატვირთვა;
- დანადგარების დემონტაჟისას დაიკისროს უსაფრთხოების წესების და პირობების სრული დაცვა და პასუხისმგებლობა;
- ყველა სხვა კონკრეტული პირობა გაიწერება პრეტენდენტთან გასაფორმებელ ორმხრივ ხელშეკრულებაში.

<u>შემსყიდველის უფლება-მოვალეობები:</u>
- შემსყიდველი იტოვებს უფლებას ხელშეკრულების დადებამდე ნებისმიერ დროს შეწყვიტოს ინტერესთა გამოხატვის პროცედურა, თუ ეს აუცილებელი გახდება დამოუკიდებელი ან/და წინასწარ გაუთვალისწინებელი ობიექტური მიზეზებით, აგრეთვე შემსყიდველის ბიზნესინტერესებიდან გამომდინარე.

<u>დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით:</u>
ტელ. 5 99 79 11 32, 5 14 30 88 33

◎ ინფორმაცია

## ადამიანით ვაჭრობა მარნეულში...

**ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) ბრალდებით, მარნეულში 1962 წელს დაბადებული პირი დააკავეს. ინფორმაციას ამის შესახებ შსს ავრცელებს.**



„შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს ტრეფიკინგის და უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს თანამშრომლებმა, მთავარ პროკურატურასთან ერთად, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, მოსამართლის განჩინების საფუძველზე, 1962 წელს დაბადებული ლ.გ., ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) ბრალდებით, მარნეულში დააკავეს. მის მიერ ჩადენილი დანაშაული 12-დან 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ლ.გ. ადამიანებით სისტემატურად ვაჭრობდა. კერძოდ, ბრალდებული სხვადასხვა ასაკის გოგონების მოტყუებით გადაბირებას ახდენდა, მარნეულში მდებარე სასტუმროს ტიპის დაწესებულებაში აცხოვრებდა და მუქარით, ფსიქიკური და ფიზიკური იძულებით, მათ სექსუალურ ექსპლუატაციას ახორციელებდა.



## ბათუმის მერი მაწანწალა ძაღლმა დაკბინა?

**საქართველოს ცხოველთა დაცვის ფედერაციის ინფორმაციით, ბათუმის მერი მაწანწალა ძაღლმა დაკბინა, რის შემდეგაც ლაშა კომახიძემ უკანონო ბრძანება გასცა და შესაბამის უწყებას ბულვარის ტერიტორიაზე უპატრონო ცხოველების დაჭერა მოსთხოვა.**

ბათუმის მერიაში ლაშა კომახიძის დაკბენისა და მის მიერ გაცემული ბრძანების შესახებ ინფორმაციას არ ადასტურებენ და მას სიცრუეს უწოდებენ.

# ს.ს.ი.პ – წიაღის ეროვნული სააგენტოს განცხადება

## სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ

**სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემია საჯარო სამართლის იურიდიული პირი წიაღის ეროვნული სააგენტო ელექ-ტრონული აუქციონის (www.eauction.ge) მეშვეობით, გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქ-ციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.**

| | | |
|---|---|---|
| | **ობიექტი № 1** | |
| | ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | ს.ს.ი.პ წიაღის ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 202 482 571 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 2 43 95 57<br>ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725 |
| 3 | ელ–ფოსტა | info@nam.gov.ge |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი წიაღით სარგებლობის პროექტის მიხედვით.<br>ბ) მოპოვება უნდა განხორციელდეს მდინარის კალაპოტის გასწორხაზოვნების მიმართულებით.<br>გ) გეოდინამიკური სიტუაციის გართულების თავიდან აცილების მიზნით ობიექტის მთელ ფართობზე წელიწადში ინერტული მასალის მოპოვების სიღრმე (სიმძლავრე) არ უნდა აღემატებოდეს 1,5 მ-ს.<br>დ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია არ დააზიანოს შიდა სასოფლო გზები, ხოლო დაზიანების შემთხვევაში მოახდინოს მისი აღდგენა-რეაბილიტაცია.<br>ე) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის "გარემოს დაცვის შესახებ", „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ" და „წიაღის შესახებ", საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, „წიაღის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ" ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს.<br>ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>ზ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი, დაბა ჩხოროწყუს მიმდებარე ტერიტორია, მდ. ხობისწყლის ქვიშა-ხრეშის გამოვლინება, (კატეგორია P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 138 570 მ$^3$). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი, დაბა ჩხოროწყუს მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 92 902 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 9290,2 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს 10% | 9 490 ლარი |
| | თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2018 წლის 28 მაისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2018 წლის 26 ივნისს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2018 წლის 26 ივნისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2018 წლის 26 ივნისს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 5 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |
| | **ობიექტი № 2** | |
| | ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | ს.ს.ი.პ წიაღის ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 202 482 571 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 2 43 95 57<br>ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725 |
| 3 | ელ–ფოსტა | info@nam.gov.ge |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი დამუშავების ტექნოლოგიური სქემის მიხედვით.<br>ბ) მოპოვება უნდა განხორციელდეს მდინარის კალაპოტის გასწორხაზოვნების მიმართულებით.<br>გ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის "გარემოს დაცვის შესახებ", „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ" და „წიაღის შესახებ", საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, „წიაღის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ" ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს.<br>დ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>ე) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | მესტიის მუნიციპალიტეტი, დაბა მესტიის (ლანჩარის დასახლება) მიმდებარე ტერიტორია, მდ. მესტიაჭალის ქვიშა-ხრეშის გამოვლინება, (კატეგორია P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 11 460 მ$^3$). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | მესტიის მუნიციპალიტეტი, დაბა მესტიის (ლანჩარის დასახლება) მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 9 965 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 996,5 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს 10% თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 1 197 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2018 წლის 28 მაისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2018 წლის 26 ივნისს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2018 წლის 26 ივნისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2018 წლის 26 ივნისს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 1 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |
| | **ობიექტი № 3** | |
| | ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 202 482 571 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57<br>ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725 |
| 3 | ელ–ფოსტა | Info@nam.gov.ge |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი წიაღით სარგებლობის პროექტის მიხედვით.<br>ბ) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს მდინარის კალაპოტის გასწორხაზოვნების მიმართულებით.<br>გ)გეოდინამიკური სიტუაციის გართულების თავიდან აცილების მიზნით, ობიექტის მთელ ფართობზე წელიწადში ინერტული მასალის მოპოვების სიღრმე (სიმძლავრე) არ უნდა აღემატებოდეს 1,5 მ-ს.<br>დ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია არ დააზიანოს შიდა სასოფლო გზები, ხოლო დაზიანების შემთხვევაში მოახდინოს მისი აღდგენა-რეაბილიტაცია.<br>ე)ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის "გარემოს დაცვის შესახებ", „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ" და „წიაღის შესახებ", საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, „წიაღის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ" ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს |
| | | სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს.<br>ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>ზ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი, სოფ. ჯუმითის მიმდებარე ტერიტორია, მდ. ხობისწყლის ქვიშა-ხრეშის გამოვლინება (კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 282 120 მ$^3$). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი, სოფ. ჯუმითის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 189 142 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 18 914,2 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს (10 %) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 19 114 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2018 წლის 28 მაისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2018 წლის 26 ივნისს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2018 წლის 26 ივნისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2018 წლის 26 ივნისს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 5 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |
| | **ობიექტი № 4** | |
| | ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | ს.ს.ი.პ წიაღის ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 202 482 571 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57<br>ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725 |
| 3 | ელ–ფოსტა | info@nam.gov.ge |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი დამუშავების ტექნოლოგიური სქემის მიხედვით.<br>ბ) წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს მდინარის ჭალა-კალაპოტის გასწორხაზოვნების მიმართულებით. |

| | | |
|---|---|---|
